# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№40 (9871) 2025 წლის 19 მარტი, ოთხშაბათი




# „ბიჭაკების საქმეო“— ოჰ, თქვე მართლა თახსირო ნაცებო!

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და კორუფციული სქემით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გაფლანგვის ფაქტზე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ ცნო. ასევე, დამნაშავედ იქნა ცნობილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ ჯანაშია.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2009 წლის მარტში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობილი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში მასაჟისტი დოროთი შტეინი ე.წ. „დოქტორ დოტ“-ი მოიწვია, ხოლო მისთვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება პრეზიდენტის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან განხორციელდა.

სამართლებრივი საფუძვლის ხელოვნურად შესაქმნელად, 2009-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა გრიფით „საიდუმლო“ განკარგულებები და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაავალა ისეთი სახის ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფინანსებაც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ კანონიერად ვერ მოხერხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბიუჯეტებიდან პრეზიდენტის წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 2009-2012 წლებში დაიხარჯა 20 მილიონ ლარზე მეტი, მიხეილ სააკაშვილის დავალებით და ორგანიზებით, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელობის ჩართულობით, 2009 წლის მაისიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე, მიხეილ სააკაშვილის პირადი კომფორტის და ფუფუნებისთვის დანაშაულებრივად გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 9 024 367 ლარი. მათ შორის:

იხ. 5 გვ.

## ნუგზარ ფოფხაძე:

### ჯონ კენედი და ვასილ მჟავანაძე... რიგითი ფოფხაძის გადასარჩენად

9

## თეიმურაზ ქორიძე:

### რა დღეში ხარ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

3

## ვისაც სუსტი გული აქვს, არ წაიკითხოს!

# გვამებზე დაგეშილი ცოლ-ქმარი



4

## „კურსკის რკალს“ ცრემლების არ სჯერა...

8

### უკრაინის ძვირად-ღირებული შეცდომა!




## ნანუკას ფონდი და სხვა ფარული „სირცხვილები“ დაყადაღებულია



11

## დიდხანს მოგვდგამდეს ხევსურთა ვაჟკაცობა



6

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა

დღის ამბები

№40. ოთხშაბათი, 19 მარტი, 2025 წელი



# ეროსი მანჯგალაძის 100 წლის იუბილე – რუსთაველის ეროვნულ თეატრში

**რუსთაველის ეროვნულ თეატრში ეროსი მანჯგალაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.**

საიუბილეო საღამოზე დიდი ქართველი მსახიობისა და სპორტული კომენტატორის შემოქმედებიდან დასამახსოვრებელი ეპიზოდები გაცოცხლდა. მაყურებელმა იხილა კადრები მსახიობის წარსულიდან და აქამდე უცნობი ისტორიები მოისმინა. შესრულდა სიმღერები, რომლებიც მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა, წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული ნომრები. ეროსი მანჭგალაძის შემოქმედება რობერტ სტურუამ გაიხსენა.



ეროსი მანჭგალაძემ მრავალი სახასიათო როლი შეასრულა ქართულ თეატრში და საინტერესო სახეები შექმნა კინოში. მსახიობს დიდი წვლილი მიუძღვის ტელე და რადიოთეატრის (რომელიც ამჟამად მისი სახელობისაა) განვითარებაში. სპორტულ რადიოჟურნალისტიკაში შეტანილი წვლილისა და ტელესივრცეში თეატრის პოპულარიზაციისათვის ეროსი მანჭგალაძის სახელობის პრემიებია დაწესებული.

**საღამოს თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა. რეჟისორი – თინათინ კორძაძე, მხატვარი – ანა ნინუა, კომპოზიტორი – დავით თავაძე, ქორეოგრაფი – გიგი ლორია, ვიდეორეჟისორი – გვანცა მეფარიშვილი.**

**მონაწილეობდნენ მსახიობები – მურმან ჯინორია, ნანა ფაჩუაშვილი, მარინა კახიანი, ნანული სარაჯიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, მომღერალი ნეკა სებისკვერაძე, „თეატრალურის კვარტეტი“.**

**საიუბილეო საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და სპორტის მინისტრი შალვა გოგოლაძე დაესწრნენ.**

პროექტი საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

# პრეზიდენტი ჩინეთის ელჩს შეხვდა

**საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში მიხეილ ყაველაშვილი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ჭოუ ციენს შეხვდა.**

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ჩინეთის ელჩმა მიხეილ ყაველაშვილს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა. საუბარი შეეხო პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივას. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თავისუფალი ვაჭრობა, სტრატეგიული პარტნიორობა და უვიზო რეჟიმი ხელს უწყობს ქართულ-ჩინური ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას, აძლიერებს ხალხთაშორის კონტაქტებს, ბიზნესკავშირებს და ეკონომიკურ თანამშრომლობას. ყურადღება დაეთმო შუა დერეფნის მნიშვნელობას და საქართველოს სატრანზიტო როლს.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არის, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი შუა დერეფნის განვითარებას, უსაფრთხოებასა და ეფექტიანად ფუნქციონირებას. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რეგიონში და საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოწვევებზე და ხაზი გაესვა სტაბილურობისა და მშვიდობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.





ოკუპაცია გრძელდება და უსაფრთხოების გამოწვევები კვლავ რჩება. თუმცა ჩვენ უნ-

# მაკა ბოჭორიშვილი: გლობალურ რეიტინგებში საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია...

**და ვუპასუხოთ ამ გამოწვევებს და ჩვენი პასუხი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება, სწორი რეფორმები,** – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაკა ბოჭორიშვილი** ნიუ დელიში, საერთაშორისო კონფერენციის, „რაიზინა დიალოგი 2025“-ის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე „შეჯიბრი და თანამშრომლობა უსაფრთხო მომავლისთვის“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„ჩემთვის, როგორც ქართველი დიპლომატისთვის, დიდი ხნის განმავლობაში რთულ ამოცანად რჩებოდა ამეხსნა, ერთი მხრივ, რუსული ოკუპაციის საფრთხეები, ხოლო მეორე მხრივ, არსებული უზარმაზარი შესაძლებლობები. ეს რჩება რთულ ამოცანად, რადგან ოკუპაცია გრძელდება და უსაფრთხოების გამოწვევები კვლავ რჩება. თუმცა ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ამ გამოწვევებს და ჩვენი პასუხი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება, სწორი რეფორმები.**

**გლობალურ რეიტინგებში საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია ბიზნესის კეთების, ღია მმართველობის, კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებებით. ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა მთავრობის მიერ გატარებული თანმიმდევრული რეფორმების შედეგად, განსაკუთრებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში. ჩვენ სწორედ ასე ვუპირისპირდებით ჩვენს რეგიონში არსებულ უსაფრთხოების გამოწვევებს“,** – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

# „სამუშაო სიღარიბის დონე“ საქართველოში ორ წელიწადში განახევრდა...

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO), „სამუშაო სიღარიბის“ ინდექსი გამოაქვეყნა. ინდექსი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მაჩვენებელია და გამოხატავს სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი დასაქმებულების რაოდენობას. ILO-ს შეფასებით, საქართველოში 2024 წელს დასაქმებულთა შორის სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა მყოფი პირების დონე, ახალ ისტორიულ მინიმუმამდე შემცირდა და 1,7%-ს გაუთანაბრდა. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველოში 2 წელიწადში სამუშაო სიღარიბე ორჯერ შემცირდა, ხოლო 12 წელიწადში, ანუ 2012 წელთან შედარებით თითქმის 5-ჯერ (4,7-ჯერ).**



ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მაჩვენებლები 2000 წლიდან 2024 წლის ჩათვლით. ირკვევა, რომ საქართველოში სამუშაო სიღარიბის მკვეთრი შემცირება 2012 წლიდან დაიწყო. 2000-2003 წლებში სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ იყო დასაქმებულთა 11 %, ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა 2004-2012 წლებში, რა დროსაც 10%, ანუ საშუალოდ ყოველი მეათე დასაქმებული სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა იყო.

სიტუაცია არსებითად შეიცვალა 2013-2024 წლებში. ამ პერიოდში სამუშაო სიღარიბის დონე საქართველოში საშუალოდ 3,3%-ს გაუთანაბრდა და შესაბამისად სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ ყოველი ოცდამეათე დასაქმებული იყო. ბოლო, ანუ 2024 წლის მონაცემებით სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა საშუალოდ ყოველი 59-ე დასაქმებული პირია, ანუ 1,7%, რაც საქართველოს ახალი ისტორიული მინიმუმია.



## ლევან მახაშვილი:

# მსოფლიო იცვლება, მასში არ არის პოლიტიკური შარლატანების ადგილი

**„მსოფლიო იცვლება, მასში არ არის პოლიტიკური შარლატანების ადგილი. მსოფლიოში მიმდინარე ეს ცვლილებები ლოგიკური დასასრულის ეტაპზე გადავიდა.**

**ამ რთულ გარემოში, ჩვენ ვერ დავრჩებით პასიურ დამკვირვებლებად. დიპლომატია ჩვენი ერთადერთი იარაღია საგარეო ასპარეზზე, ამიტომ დიახ, როდესაც ყოფილი პრეზიდენტი ელჩების დანიშვნაზე უარით, სახელმწიფოს ამ ერთადერთი იარაღის დაგდებას აიძულებდა, ჩვენ სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ ეს შეცდომა და ქართველ დიპლომატებს მივცეთ საქართველოს ინტერესების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა“,** – განაცხადა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მახაშვილმა.**

# ჩართულობის პოლიტიკა, მჭიდრო თანამშრომლობა და ნდობის აღდგენა...

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა შეხვედრა გამართა საქართველოში აკრედიტებული გაეროს ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.**

შეხვედრაზე მხარეებმა მიმოიხილეს თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტები და სამომავლო ხედვები. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს აფხაზეთის რეგიონში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, ასევე სამომავლო ინიციატივების თაობაზე. სახელმწიფო მინისტრმა ყურადღება გაამახვილა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების ხედვებსა და ამოცანებზე, რაც, ერთი მხრივ, კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვასა და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგის, ნდობის აღდგენის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.



ვწუხვარ, მრცხვენია კიდეც, მაგრამ გოდიშის მოხდით კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდე მშობლიური ენის გარყვნის ტენდენციას. ყველაზე უმტკივნეულო მაგალითით დავიწყოთ.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ ბოლო დროს ერთ-ერთი ყველაზე გამშობლიურებული და გაპოპულარებული ტერმინი გახლავთ „ლოკაცია“ (ლათ. Lokatio – მდებარეობა, ადგილი, უბანი, რაიონი...) – შეყვარებულებიც კი პაემნებს „ლოკაციებზე“ ნიშნავენ.

# ისინი აპირებენ, რომ „განახორციელონ ქართველი ხალხის გაბრაზება“



## რა დღეში ხარ, ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

ეს სიტყვები მშობლიური გურიის დიდთოვლოგისგან გადამრჩენელ ერთ-ერთ მამაც მოხალისეს ეკუთვნის:

**„ბოლო ლოკაციაც დავასრულეთ, ხვალ დილიდან, საოცარი ემოციებით ვემშვიდობებით გურიას. მადლობა ყველა მოხალისეს და განსაკუთრებით ჩვენს გუნდს, რომლებთან ერთადაც მიუსვლელშიც ვახერხებდით მისვლას“.**

გურულებს მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ იქნებ აგვიხსნათ, რას ნიშნავს გამოთქმა „ბოლო ლოკაციაც დავასრულეთ“? რომ გეთქვათ, „ბოლო სასმისიც გამოვცალეთ“, ან „ბოლო სახლიც გადმოვთოვლეთო“, ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ ლოკაციის, ანუ ადგილის (უბნის, რაიონის, მდებარეობის) დასრულება საღ აზროვნებასთან მეტისმეტად შეუთავსებლად გამოიყურება. კი ბატონო, უცხო ტერმინოლოგიით კეკლუცობის დაუძლეველი სურვილიდან მოდის, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია. აი, სანამ აზრების წერილობით გადმოცემას დაიწყებდით, ქართული ენის გრამატიკაზეც რომ გეფიქრათ, ურიგო არ იქნებოდა. ისიც რომ გცოდნოდათ, ადგილი შეიძლება იყოს მიუვალი ან მიუდგომელი და არა „მიუსვლელი“, თქვენი ქართული ენის მასწავლებლებს ძალიან გაახარებდით.

**„სამტრედიის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის, ამ ეტაპზე 24 ლოკაციაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები ხორციელდება“.**

ამის ავტორს რომ დაეწერა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებს ამუშავებენო, ან აზუსტებენო, ან რუდუნებით თაროებზე აწყობენო, ყველაფერი გასაგები იქნებოდა. ამ მამაცხონებულმა კი – ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობსო! მერე ნათქვამი უფრო დამაჯერებელი და, რაც მთავარია, „კრეატიული“ რომ მოგვჩვენებოდა, ესეც დაუმატა, **„ამ ეტაპზე 24 ლოკაციაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები ხორციელდებაო“.** მესმის, რომ ამ სიტყვების ავტორს მკითხველის და, უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე საკუთარი განათლებულობით წაკეკლუცება უნდა, თორემ ხომ დაწერდა, „დღეისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 24 ადგილას გზებს აწესრიგებენო“. კიდე კაი, ჩემი ქართული ენის დიდებული სამტრედიელი მასწავლებელი მარიამ ნადირაძე ცოცხალი აღარ არის, თორემ ამის წამკითხველი სირცხვილით დაიწვებოდა.

ეს უკვე ქართული სპორტული ჟურნალისტიკის „აჩერედნოი“ შედევრია (ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელ ვილი სანიოლთან):

**„ვან სხიპმა ახლახანს ჩაიბარა სომხეთის ნაკრები. მასზე დეტალურად საუბარი რთულია. მისი საბერძნეთის ნაკრები და აიაქსი 4 მცველით თამაშობდა. ჯერ არ ვიცით სომხეთის ნაკრებიც მსგავსი ფორმაციით ითამაშებს თუ არა. სჯობს ყურადღება ჩვენს შესაძლებლობებზე გავამახვილოთ“.**

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ფორმაცია (ლათ. Formatio) გახლავთ გარკვეული სტადია, საფეხური რისამე განვითარებაში. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია–ისტორიული განვითარების მოცემულ საფეხურზე არსებული ადამიანთა საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია საწარმოო ურთიერთობათა გარკვეული სისტემა; გეოლოგიაში ეს გახლავთ კომპლექსი გენეტიკურად შეკავშირებული ქანებისა, რომელთა ერთად წარმოქმნა და დედამიწის ქერქში არსებობა განპირობებულია გეოლოგიური გარემოს გარკვეული პირობებით.

ძნელი სათქმელია, კერძოდ, რა ტერმინები მოიშველია ჩვენთვის მართლაც დიდად საპატივცემო ვილი სანიოლმა ჟურნალისტთან საუბრისას. კაცმა რომ თქვას, ამას არცა აქვს დიდი მნიშვნელობა – ჟურნალისტი იმიტომაც არის ჟურნალისტი, რომ მკითხველამდე სწორად და გასაგებად მიიტანოს ინტერვიუერის აზრი და არა მისი ნათქვამის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. სავარაუდოდ, ჟურნალისტს ერთმანეთში აერია ტერმინები „ფორმაცია“ და „სისტემა“.

მოდი, ჯერ გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსების გამართული ქართულით ნათქვამი პრიმიტიული დემაგოგიის რამდენიმე ნიმუში ვნახოთ.

**„ქუჩა არის ერთადერთი ადგილი, სადაც სახელმწიფოს ბედი წყდება. ქუჩა არის სახალხო დემოკრატიის ყველაზე ძველი ფორმა და ის საჭიროდ რჩება ყველაზე ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ დემოკრატიებშიც. ქუჩა არ უდრის ძალადობას. ქუჩა უდრის ხალხის აზრის დომინაციას და დემოკრატიის და სახელმწიფოს ხალხის მიერ დაბრუნებას“.**



ამ სიტყვებს „გამოჩენილი“ გვარამია ქართველი ახალგაზრდების გასაგონად ამბობს. უხეში ტყუილით მათ გაცუცურაკებას ცდილობს და, თუ შედეგებით ვიმსჯელებთ (მეოთხე თვეა, საქართველოში ქუჩის აქციები გრძელდება!), მიზანს ნაწილობრივ აღწევს კიდეც. ქუჩა ერთადერთია, სადაც სახელმწიფოს ბედი წყდებაო; ქუჩა ფუნდამენტური დემოკრატიის უძველესი და დღემდე შეუცვლელი ფორმააო, რაიმე კავშირი არც ძალადობასთან აქვსო!..

გვარამიასადმი ჩემი უპატივცემულობის მიუხედავად, ვერ დავიჯერებ არ იცოდეს, რომ სრულ სისულელეს როშავს. იცის, მაგრამ ისიც იცის, რომ უბირი ახალგაზრდების მოტყუება ადვილია. უფრო ზუსტად, შედარებით ადვილი საქმეა მათი გაუნათლებლობით სარგებლობა, ცრუპატრიოტული მოწოდებებით ქუჩაში გატყუება, მერე მათზე სისხლიანი ხელების შეწმენდა და ღვთის ანაბარად მიტოვება. ასეც აკეთებს.

ახალგაზრდობის ამგვარი ბინძური დემაგოგიით გაბრიყვების მცდელობა რომ დაგეგმილი, სისტემური ქმედებაა და არა მხოლოდ ვინმე ცალკეული „გამოჩენილის“ ფანტაზიის ნაყოფი, **გიორგი გახარიას** ამ მოწოდებიდანაც კარგად სჩანს:

**„ამ ქვეყანაში ახალგაზრდები და სტუდენტები ყოველთვის იყვნენ თავისუფლებისთვის ბრძოლის სიმბოლო და ამიტომაც ისინი ყოველთვის იყვნენ რეჟიმების სამიზნე. ასეთია ივანიშვილის „ოცნების” ღირსება, რომელიც საკუთარი სამშობლოსთვის მებრძოლ სტუდენტებს უნივერსიტეტიდან ყრის. წარსულის მომავალთან დაპირისპირებაში წარსული ყოველთვის მარცხდება“.**

ვფიქრობ, კომენტარი არ ღირს.

სამაგიეროდ, უხვი კომენტარების, უფრო ზუსტად, ქუჩური „ბირჟული ღადაობის“ ნამდვილი წყაროა ჟურნალისტ-პოლიტიკოს ნანუკა ჟორჟოლიანის ეს ბრძნული შეგონება:

**„ქართველი ქურდები პოლიტიკაში არ ერეოდნენ. ისინი, ვინც ახლა ჯანგველაძის ძმის მკვლელობის ამბავში მოიაზრებიან, არიან ქოცებთან დალაგებულები. ლავას ოღლი, მაგალითად, რომლის გავლენამაც აჭარაში პოლიციელის მკვლელი გამოიყვანა საპატიმროდან. ეს ხალხი ალაგებს ქართული ოცნების ყველა არჩევნებს ამ ქვეყანაში. სავარაუდოდ, ეს ამბავი პოლიტიკას არ უკავშირდება, მაგრამ რადგან ხელისუფლების მეგობარი ქურდები არიან მკვლელობაში ეჭვმიტანილები, ამბავი თაროზე შემოიდება და ისევ ქურდები თუ იტყვიან, რატომ მოუკლეს ძმა ქართველ კანონიერ ქურდს“.**

მეტი რა გვეთქმის – ბრავო ნანუკა, შე ყოვლისმცოდნევ, შენა! ოღონდ, რამე ბრძნულს რომ დაწერ, მერე უნდა წაიკითხო კიდეც, თორემ რა გამოვიდა – ჯერ ამბობ, ქართველი ქურდები პოლიტიკაში არ ერეოდნენო; ეს ამბავიც, სავარაუდოდ პოლიტიკას არ უკავშირდებაო. მერე ამბობ, ეს ხალხი (ქურდები) ამ ქვეყანაში ყველა არჩევნებს ალაგებსო, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქურდები ხელისუფლების მეგობრები არიან და ეს საქმე თაროზე შემოიდებაო!

როგორც სანდო წყარომ მაცნობა, ნანუკას პოსტის წაკითხვის შემდეგ შიშისგან მოცახცახე „ბიძინას რუსულ რეჟიმს“ ყრილობა მოუწვევია და საქმის სასწრაფოდ გამოძიება გადაუწყვეტია. დამნაშავეების ვინაობაც სასწრაფოდ დაუდგენია. აბა რაა, ისედაც ხომ თავისი შეკვეთილი იყო! თანაც, ეს ამბავი შეკვეთილის რეზიდენციაში გადაწყვეტილა.



მაინც რა წინდახედული ქალია ეს ჩვენი ნანუკა – ხომ შეეძლო თავისი აღმოჩენა (კანონიერი ქურდების და არალეგიტიმური ხელისუფლების ურთიერთობაზე) იმ ტრაგიკული შემთხვევიდან ორი დღის შემდეგ გამოექვეყნებინა. არა ბატონო, ცხელ გულზე და ცხელ კვალზე გამოაქვეყნა და უნდოდა თუ არა ეს ხელისუფლებას, დამნაშავეები სასწრაფოდ დაატუსაღებინა! ნუუ, ერთი ეგ არის, რას წერს, თავადაც არ ესმის.

აქვე მინდოდა ორიოდე სიტყვით ეგრეთ წოდებული სულელური დემაგოგიის თაობაზეც მეთქვა, მაგალითად, ასეთზე – **„ბიძინა არისი რუსისი მონა იქნება მოღარატია დაიღუპა ქვეყანა“**. თუმცა, წყაროებს რომ გადავხედე, ძალიან უხვია, ძნელად ასახსნელია და აჯობებს, მომავლისთვის გადავდოთ. აი, ახალი ნაშრომის სათაური კი უკვე მოვიფიქრე, უფრო სწორად, ქალბატონ ანა დოლიძეს დავესესხე – **„ჩვენ ვაპირებთ განვახორციელოთ ქართველი ხალხის გაბრაზება“.**

ახლა უმორჩილესად გთხოვთ, მოთმინება მოიკრიბოთ და ყურადღებით წაიკითხოთ საჯარო სივრციდან ამოკრეფილი ქართული ენის გამანადგურებელი, ქართველი ხალხის უკიდურესად შეურაცხმყოფელი მაგალითები. ეს არის ეგრეთ წოდებული „კომპიუტერული თარგმანი“ უცხო ენებიდან, ძირითადად – ინგლისურიდან.

დავიწყოთ ამონარიდით ფირმა „სოკარის“ სახელით გამოქვეყნებული ერთი უვრცესი ინტერვიუდან... კახა კალაძესთან. გამომქვეყნებელია საინფორმაციო სააგენტო „ambebi RU“. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, ყალბია. ყალბია ავტორის ვინაობაც – გიორგი გაბუნია. ეს არის სარეკლამო ტექსტი, როგორ ვიშოვოთ ასი-ათასობით დოლარი ორ-სამ თვეში მხართეძოზე წამოწოლილებმა ტვინის და ხელის გაუნძრევლად:

**„უნდა ვაღიარო, ინტერვიუში ნაჩვენები შედეგების მიუხედავად, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, ღირდა თუ არა ეს პლატფორმა ჩემს ფულზე. მაგრამ უფრო დავინტერესდი, როდესაც ვნახე საქართველოს ეროვნული ბანკის რეაქცია. მივხვდი, რომ თაღლითობა რომ ყოფილიყო, არ აინტერესებდათ.**

**დავრეგისტრირდი, რის შემდეგაც უცნობი ნომრიდან დამირეკეს. მე ყოველთვის ვიღებ ტელეფონს, რადგან, როგორც პოპულარული პუბლიკაციის რედაქტორს, შესაძლოა მირეკავენ ინფორმატორებიდან, ტელეარხებიდან და ცნობილი ადამიანებისგანაც კი. ამჯერად ეს იყო ჩემი პირადი თანაშემწე, რომელიც გორჯომმა დანიშნა ყველა ინვესტორზე...“**

როგორც ხედავთ, ენობრივი და მთარგმნელობითი თვალსაზრისით ეს არის ყოვლად სამარცხვინო მაგალითი, მაგრამ აქ მეორე არანაკლებ საშიში და დანაშაულებრივი ქმედებაც იკვეთება – ფინანსურ ავანტიურაში მოქალაქეთა ჩათრევის მცდელობა. ზუსტად ისეთი და ცოტა უფრო უარესიც, ვიდრე ამ ბოლო დროს ასე გახმაურებული ე. წ. „ქოლცენტრების საქმე“.

იმედია, ქართული სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდებიან ამ მტაცებლური „სარეკლამო კამპანიით“ და როგორმე მისი პარპაშის აღკვეთასაც მოახერხებენ.

* * *

**ახლა ცოტა უფრო მსუბუქი ჟანრის, უფრო სწორად, მშობლიური ენის უფრო იოლად ფეხებზე დაკიდების მაგალითებს შემოგთავაზებთ. თუ რამე გამომეგონოს, მე ვიყო ნანუკა ჟორჟოლიანის საქველმოქმედო ფონდის პაციენტი:**

„მანქანის საბურავები არ არის უბრალო ნარჩენები! მცირე კრეატიულობით, ისინი შეიძლება იქცნენ სასარგებლო და დეკორატიულ ნივთებათ. რატომ ვასვათ მათ, როცა მათ მეორე სიცოცხლეს შევძენთ? გსურთ კომფორტული ჰანგა, მაგრამ ფულის დახარჯვა არ გსურთ? ძველი საბურავი, რომელიც გაკრულია მყარ თოკზე, იდეალური გადაწყვეტაა მრავალი საათის გართობისთვის.“

* * *

**„ადრე საყვარელი ვარსკვლავი, რომელიც ჯოხით დაინახეს, დღეს თითქმის ამოცნობილი არ არის. ვინ არის ის? შეგიძლიათ იცნოთ ის? ის თითქმის აღარ ცნობილია ახლა! ის ერთ დროს მსოფლიოში მოაჯადოვებდა აუდიტორიას თავისი უნიკალური სტილითა და ხიბლით, მაგრამ დღეს მას ხეირით ხედავენ!**

ბრიჯიდ ბარდო რომელიც კოჭლობს, appeared შავი შარვლითა და რაუნდ-მხრების ზედით მისი სამოსი დაამშვენა ჩოკერით. მაკრონმა არჩევანი უკეთესში შეაჩერა, გახსოვდეთ, ჯინები და თეთრი პერანგი. ბოლო დროს ხშირად არ აკეთებს საჯარო გამოჩენებს. ელისეს სასახლეში შეგიძლიათ იცნოთ ის? ის თითქმის აღარ ცნობილია ახლა! ის ერთ დროს მსოფლიოში მოაჯადოვებდა აუდიტორიას თავისი უნიკალური სტილითა და ხიბლით, მაგრამ დღეს მას ხეირით ხედავენ!“

* * *

**„მამაკაცი სახელად ჰორას გურგესმა ააშენა მსოფლიოს უდიდესი ხის სახლი და გახდა ინტერნეტ-სტარი!**

ამ ამერიკელმა ხელოსანმა ხის სტრუქტურა ააგო, რომელსაც 80 ოთახი აქვს! გიგანტური სახლის მშენებლობა დაიწყო 1993 წელს და მხოლოდ ახლა შეგვიძლია მისი შედეგების დატკბობა! როცა კომენტარებში გიჩვენებთ, ყველას ჟრუანტელი შეგაწვავთ!“

* * *

**დაბოლოს, ერთ მგონი დეტექტური ჟანრის თარგმანსაც შემოგთავაზებთ. აქვე ვაღიარებ, რომ ამის წაკითხვის შემდეგ ძალიან დავიბენი, დიდხანს ვიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, ვისზე გვიამბობს „დეტექტივის“ მთავარი გმირი ქალბატონი - მამაზე, ქმარზე თუ საყვარელზე. თუ ვინმე მიხვდებით, ნუ დამიმალავთ:**

მამაჩემმა დამირეკა და მითხრა, რომ სხვა ქალისთვის მტოვებდა – ალბათ არ ელოდა ჩემს რეაქციას.

სამუშაოს შემდეგ სახლში დავბრუნდი, მაგრამ ჩემი მეუღლე არ იყო იქ. უცებ ტელეფონმა დარეკა. ეს იყო ის.

– ალბათ შენ შენიშნა, რომ ბოლო დღეებში გვიან ვბრუნდები. სინამდვილეში სხვა ქალი მყავს. გთხოვ, არ გააკეთო სკანდალი.

მგონია, რომ ის ელოდა, რომ მეტირებოდა ან გავაფრენდი, მაგრამ ჩემი რეაქცია სრულიად განსხვავებული იყო. ჩემი სიტყვების შემდეგ ის ნერვიულად გამორთო ტელეფონს, ხოლო მე გავაგრძელე ვახშმის მომზადება.“

* * *

**მოკრძალებით ერთი სათხოვარიც მაქვს – თუ სადმე შემოგხვდეთ ბრიჯიდ ბარდო, რომელიც კოჭლობს, appeared შავი შარვლითა და რაუნდ-მხრების ზედით, აუცილებლად შემატყობინეთ – ბრიჯიდ ბარდო მაინც ბრიჯიდ ბარდოა, თუნდაც შარვლითა და რაუნდ-მხრების ზედით! ისევ ისე, „ნახალოვკის“ ლოკაციაზე ვარ, არც ისე მიუსვლელში.**

იმაზეც ვიფიქროთ, როგორ ვუშველოთ უვიცი პოლიტიკოსებისა და თაღლითი „მთარგმნელების“ საჯიჯგნად ქცეულ მშობლიურ ენას.



**თეიმურაზ ქორიძე**

18. 03. 2024

# ვისაც სუსტი გული აქვს, არ წაიკითხოს!

სანამ ტერმინი „ომის პარტია“ საერთაშორისო მნიშვნელობას შეიძენდა, საქართველოში ამ სახელს „ნაცმოძრაობას“ ეძახდნენ, რადგან განუწყვეტელი რევანში და შურისძიება, წამებები, მკვლელობები, გაუჩინარებული ადამიანები მათი მუშაობის სტილი და ხელწერა იყო.

2008 წლის ომით საერთოდ დაგვირგვინდა „ნაცმოძრაობის“ აგრესიული გეგმები. ამ ომის მცდელობა სააკაშვილს ჯერ კიდევ 2006-ში ჰქონდა, მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, ის „დიდმა ძიებმა“ შეაჩერეს.





# გვამებზე დაგეშილი ცოლ-ქმარი

**უკრაინაში კი დღემდე მძვინვარებს ფართომასშტაბიანი ომი და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ომიდან თურმე ვივამედის „პაციენტი“ სააკაშვილი და მისი ოჯახი სარგებელს ნახულობდნენ. როგორც აღმოჩნდა, მათ უკრაინაში გააგრძელეს საქართველოში დაწყებული, მაგრამ ბოლომდე ვერგანხორციელებული სისხლიანი გეგმები. გვამებზე დაგეშილი ცოლ-ქმარი — სანდრა რულოვსი, რომელსაც, უკრაინული პრესა „მფატრავ სანდრას“ ეძახდა და გიჟი ავანტიურისტი მიხეილი გაშმაგებული ეძებდნენ თურმე უკრაინის ტერიტორიაზე დაჭრილ ან გონებადაკარგულ ადამიანებს.**

**ინტერნეტქსელით ვრცელდება უკრაინის მოქალაქის ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ის სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს.**

ჯარისკაცი ზურგშექცევით ზის კამერის წინ და ყვება შემზარავ ამბავს:

**„მე უკრაინის უშიშროების სპეციალური სამსახურის თანამშრომელი ვარ.**

გასული წლის (იგულისხმება 2020 წელი. – **ავტ.**) დეკემბერში ხელმძღვანელის ბრძანებით, ჩვენს განყოფილებას მიება სპეციალური სამედიცინო ჯგუფი, ჯგუფს ერქვა გადაუდებელი დახმარების რეანიმაციული განყოფილება. მომსახურება ძალიან კარგი გვქონდა. კრამატორსკის ბაზაზე ჩვენ გავიარეთ სპეციალური მომზადება, მედიცინის მუშაკებთან ერთად, რომლებიც დაჭრილებს ეხმარებოდნენ. ერთკვირიანი სწავლების შემდეგ შეგვაერთეს ექიმების ჯგუფთან, გამოგვიყვეს მანქანები, იარაღი და აღჭურვილობა. ექიმებს ჰქონდათ სპეციალური ამბულატორიები, რეანომობილები და შესაბამისი აპარატურა. პოლკოვნიკი მიშენკო ინსტრუქციებს გვაძლევდა. თუ გარდაცვლილთა ნათესავები თანახმა იქნებოდნენ, მათ გადასცემდნენ სოლიდურ ფინანსურ ჯილდოს. მიშენკო ამბობდა, რომ ეს იყო უკვე აპრობირებული პრაქტიკა მსოფლიოში და ერთგვარი დახმარების ფორმა გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახისთვის.

რამდენიმე დღეში მივიღე დაშიფრული წერილი პოლკოვნიკისგან, რომ საომარი მოქმედებების ადგილზე იყვნენ მკვდრები და დაჭრილები. ექიმებთან ერთად წავედით მითითებულ ადგილზე. გვქონდა უფლება, ათასობით დაჭრილი და მკვდარი ჯარისკაცი გამოგვეყვანა მოქმედების ადგილიდან...

**ყოველი დაჭრილის ან ახალი მიცვალებულის გამოყვანაში, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ გამოსაყენებელი შინაგანი ორგანოები, მაძლევდნენ 70 დოლარს.**

თავიდან დაჭრილები სპეციალურ სამედიცინო სამსახურში მიგვყავდა კრამატორსკში, ჩრდილოეთ დონეცკის რაიონში. მომაკვდავებს აცლიდნენ კანს, თვალებს და ძვლებსაც, შინაგან ორგანოებთან ერთად.

იანვრიდან ჩვენთან დაიწყო მუშაობა სპეციალურმა ტრანსპლანტოლოგმა აშშ-იდან **ელიზაბეთ დებრიუმ.** ის თავის თავს ეძახდა ელისს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, მას მართლა ერქვა ელიზაბეთი თუ არა. ელისმა სრულიად შეცვალა ჩვენი მუშაობის სტილი და დაავალა ჩვენს ექიმებს განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ დაჭრილებისადმი, ხშირად თვითონ აკეთებდა ე.წ. ოპერაციებს.

**(ელიზაბეთ დებრიუ გახლავთ ექიმი ნიდერლანდებიდან ან დიდი ბრიტანეთიდან. რუსულ და ინგლისურენოვან საიტებზე მოძიებული მწირი ინფორმაციებიდან ცნობილი ხდება, რომ ის არის ტრანსპლანტოლოგიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ნებისმიერი ორგანოს ამოღება 7-დან 10 წუთში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ორგანოების შემდგომი რეალიზაციისთვის. – ავტ.)**

ბოლოს იმდენი ორგანო მოგვიგროვდა, რომ კონტეინერებიც აღარ გვყოფნიდა.

როგორც მახსოვს, თებერვლის დასაწყისში გაზაზე გააგზავნეს 23 წყვილი თირკმელი; მერე აღარ დამითვლია.

უკვე გამოშიგნულ მიცვალებულებს ვახვევდით შავ ცელოფნის პარკებში, ვაწყობდით სატვირთო მანქანაზე და ვაგზავნიდით არტიომოვსკის მიმართულებით, სადაც უკვე გამზადებული იყო ამოთხრილი მიწა სხეულის ნაშთების დასამარხად.

რეალურად არავინ იცოდა, ვინ იყვნენ ეს გარდაცვლილები, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა, მხოლოდ ის ვიცი, რომ უმეტესი მათგანი 128-ე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები იყვნენ.

მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ ჩვენ ვაგზავნიდით გარდაცვლილებისა და დაჭრილების შინაგან ორგანოებს ასობით და ათასობით და ჩვენი გენერალიტეტი გვაქებდა ამის გამო.

ელისს ხშირად ურეკავდნენ. მას, ასევე, ჰქონდა თანამგზავრული ტელეფონი და როუტერი. ურეკავდა ხელმძღვანელი საზღვარგარეთიდან. მე კარგად ვიცი ინგლისური და მესმოდა, რას ლაპარაკობდა იგი. ელისს აქებდნენ და სთხოვდნენ, გაეუმჯობესებინა ორგანოების ამოკვეთის ხარისხი.

– ვეცდები, სანდრა, – ეუბნებოდა იგი.

სანდრა გახლდათ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე – სანდრა რულოვსი, რომელიც ითვლებოდა რეალურ დამკვეთად და ჩვენი მისიის ორგანიზატორად.

ის ელისს ეუბნებოდა, თუ რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა, ჩაეყენებინა საქმის კურსში პოლკოვნიკი ვლადიმირ მიშენკო...

ზონაში სააკაშვილის ვიზიტის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მიშენკოს დავალებით მე ის წავიყვანე კრამატორსკში და ლისიჩანსკში 22 აპრილს. მე მოვახერხე, რომ ის სპეცჯგუფს შეხვედროდა. ელისი არ შორდებოდა სააკაშვილს დახურულ შეხვედრებზე კრამატორსკსა და ლისიჩანსკში.

სააკაშვილი აქებდა ჩვენს ჯგუფს, განსაკუთრებით, მედიცინის მუშაკებს. დაგვპირდა ხელფასების გაზრდას, თუკი გავაუმჯობესებდით „საქონლის ხარისხს“. ის ორგანოებს ეძახდა „საქონელს“ და ამბობდა, ჩვენ ამით ვეხმარებით ოჯახებს, რომლებმაც დაკარგეს ახლობლები და მომაკვდავ ავადმყოფებს აშშ-ში, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან ადამიანის ჯანმრთელ ორგანოებსო.

**ის უბედური ბიჭები, რომლებიც არტიომოვსკში ორმოებში ჩავმარხეთ, მალე გამოცხადდნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად. სააკაშვილმა კი თქვა, გაჭირვებულ ოჯახებს ვეხმარებით ორგანოებიდან აღებული ფულითო, მაგრამ ეს არ მომხდარა, ოჯახებისთვის მათი შვილების დაღუპვის შესახებაც არავის უცნობებია.**

სანდრა კი სულ რეკავდა და რეკავდა, რომ შეესრულებინა ელიზაბეთს უფრო მეტი შეკვეთა.

გუშინდელივით მახსოვს, ელისმა ამოკვეთა თირკმელი სადინარებთან ერთად ქალაქ პაპანსკოეში სროლებისა და აფეთქებების დროს დაჭრილ და გონებადაკარგულ მშვიდობიან მოქალაქეებს. მათ შორის იყო 12 წლის გოგონა, რომელიც მამასთან ერთად უგონოდ მოიყვანეს ჩვენთან. მამის გვარსაც ვიხსენებ, ეს იყო ვლადიმირ ვეშენსკი. მას პასპორტი ჰქონდა ტანსაცმლის ჯიბეში. მამა-შვილი მორგში გადაიყვანეს.

გოგონას ტყვიის ანასხლეტი ჰქონდა მოხვედრილი... ის, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გააგზავნეს სამედიცინო ცენტრში ორგანოების სრული ამოკვეთისთვის.

ეს ადამიანები გაფორმდნენ, როგორც დაბომბვის შედეგად გარდაცვლილები. სინამდვილეში ბევრი მათგანის გადარჩენა შეიძლებოდა. ეს იყო შეუბრალებელი ხოცვა მძიმედ დაჭრილებისა!..

მე ამის ატანა აღარ შემეძლო და 4 ივნისს „რაპორტი“ დავწერე გათავისუფლების შესახებ.

**...გადავწყვიტე, შეგატყობინოთ ეს ინფორმაცია, დაგისახელოთ ადგილები, სადაც წვავდნენ და მარხავდნენ მიცვალებულებს, სადაც ინახავდნენ ამოჭრილ ორგანოებს, სადაც აგროვებდნენ ადამიანის სხეულის გამოუსადეგარ ნაწილებს. სოფელ ჩასავ იარში 97 გამოფატრული სხეული დამარხეს, მათ შორის 20 სამოქალაქო პირი იქნებოდა, ბავშვები და ქალები.**

მე მივმართე იგილს, რომ მეთქვა სრული სიმართლე, როგორი ბიზნესი მოიწყო ჩვენს ქვეყანაში სააკაშვილმა თავის მეუღლესთან ერთად.



ექიმებს ჰქონდათ სპეციალური ამბულატორიები, რეანომობილები და შესაბამისი აპარატურა. პოლკოვნიკი მიშენკო ინსტრუქციებს გვაძლევდა. თუ გარდაცვლილთა ნათესავები თანახმა იქნებოდნენ, მათ გადასცემდნენ სოლიდურ ჯილდოს. მიშენკო ამბობდა, რომ ეს იყო უკვე აპრობირებული პრაქტიკა მსოფლიოში და ერთგვარი დახმარების ფორმა გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახისთვის.

## დაგვეხმარეთ, შეჩერდეს ყოველივე ეს!

**რამდენიმე წლის წინ ტელეკომპანია NTV-ს ეთერში შოკისმომგვრელი დოკუმენტური ფილმი უჩვენეს. რომლის ნახვის შემდეგ უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილმა შეშფოთებულმა დაურეკა მეგობარს, საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს. ის ძალიან იყო შეშინებული და ეტყობოდა, რომ ყველაფერზე იყო წამსვლელი, ოღონდ უკრაინაში ჩადენილი მისი შავბნელი საქმეები არ გამოააშკარავებულიყო და არ მოხვედრილიყო დასავლურ პრესაში.**

ეს სატელეფონო ჩანაწერი შემდეგ **WikiLeaks** (საერთაშორისო არაკომერციული ჟურნალისტური ორგანიზაცია. – **ავტ.**) შვილობილმა **UkrLeaks**-მა გამოაქვეყნა თავის ოფიციალურ საიტზე.

„**ზ.ა.** – რა მოხდა, მიშა?

**მ.ს.** – ზურა, კარი დახურე, გზაზე ვილაპარაკოთ. უყურე გუშინდელ გადაცემას NTV -ზე?

**ზ.ა.** – შენ რომ დამირეკე, მერე ვნახე საიტზე. ვფიქრობ, დიდ პრობლემას ამზადებენ.

თუ ფაქტები შეაგროვეს, ეს სერიოზული პრობლემაა.

თუ ფაქტები გამჟღავნდა, საქმე ტრიბუნალამდე მივა.



**იმ ხანებში უკრაინის აეროპორტში საფრანგეთში მიმავალი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე დააკავეს 4 მილიონი დოლარით. უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა ზღულაძის ფოტო საცვლების გარეშე, რაც ადასტურებდა, რომ საქართველოდან გაქცეული უნამუსო კრიმინალი გასტარბაიტერები უკრაინაში თავზეხელაღებული ორგიებით „ტკბებოდნენ“.**

მიშა, სასწრაფოდ უნდა დაელაპარაკო ამერიკელებს. საერთაშორისო სკანდალი მზადდება. ფილმი NTV-ზე უბრალოდ არ გავიდოდა.

**მ.ს.** – მე მეუღლეს ველაპარაკე, ის პანიკაში ჩავარდა და მითხრა: მე რას მირეკავ? ცოტა ხანში მან ისევ დამირეკა და მითხრა: ხვალ სპეცსამსახურებიდან დაგირეკავენ – ამერიკის საელჩოდან.

ზურა, სირიაში აბდულა დააკავეს, რომელიც ადამიანის ორგანოებზე მუშაობდა. მე ეს ვუთხარი სანდრას, მან გადაამოწმა ინფორმაცია და დილით შემატყობინა, რომ სირიის არმიამ რომელიღაც ქალაქი აიღო. იქ იყო ტრანსპლანტოლოგთა მთავარი ცენტრი, სადაც ეს სულელი (იგულისხმება ვინმე აბდულა – **ავტ.**) ჯგუფის მეთაურად მუშაობდა და ვერ მოასწრო გაქცევა.

**როგორმე უნდა შევაჩეროთ ეს საკითხი, თორემ ყველაფერი დაიღუპება, რაც იყო უკრაინაში, და საქართველოშიც, მათ შორის“.**

აღმოჩნდა, რომ მიხეილი ტყუილად არ იყო შეშინებული. სააკაშვილის საშუალებით უკრაინაში მაღალ თანამდებობაზე დანიშნული პირები ღრმეს კორუფციაში ყურყუმალაობენ, რაზეც სააკაშვილის უტიფრობით აღშფოთებულმა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაქოვმა წყლიანი ჭიქა ესროლა და პირდაპირ უთხრა: **„მერზავეც“, წაეთრიე, ჩემი ქვეყნიდან!**

ცნობილია კადრები, როცა სააკაშვილი ავაქოვს პასუხობს: „როგორ მიბედავ, მე უკრაინელი ვარ“...

იმ ხანებში უკრაინის აეროპორტში საფრანგეთში მიმავალი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე დააკავეს 4 მილიონი დოლარით. უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა ზღულაძის ფოტო საცვლების გარეშე, რაც ადასტურებდა, რომ საქართველოდან გაქცეული უნამუსო კრიმინალი გასტარბაიტერები უკრაინაში თავზეხელაღებული ორგიებით „ტკბებოდნენ“.

მოვიდა უქონელი და მიიპარება 4 მილიონი დოლარით, – წერდა მაშინ უკრაინული პრესა.

უკრაინაში უკვე იწყებოდა იქ გადაბარგებული „ნაცმოძრაობის“ წევრი კრიმინალების დევნის პროცესი.

ამ ამბების პარალელურად **UkrLeaks**-მა გამოაქვეყნა სააკაშვილის კიდევ ერთი სატელეფონო ჩანაწერი, რომელმაც ნამდვილი საინფორმაციო ბომბის ფუნქცია შეასრულა.

„**ზ.ა.**: მიშა, სასწრაფოდ უნდა დაელაპარაკო ამერიკელებს, საერთაშორისო სკანდალი მზადდება.

„კაროჩე, პრევენცია დროზე გააკეთე, თუ არადა, დაგვერხევა“...

შენ კარგი შანსი გაქვს, იუსტიციის მინისტრი გახდე უკრაინაში და ევროპულ რეფორმებს მიაბა პროკურატურა.

**მ.ს.** – მე ვუთხარი უკრაინის ხელისუფლებას, რომ დავით საყვარელიძის გადაადგილებას მათ არ ვაპატიებდი.“

**საყვარელიძე სააკაშვილის პროტექტორობით მაშინ ორ თანამდებობას ფლობდა უკრაინაში – ერთდროულად იყო გენერალური პროკურორის მოადგილე და ოდესის მხარის პროკურორი.**

პოროშენკოს ხელისუფლება დათმობას არ აპირებდა და სააკაშვილმა ოდესაში მოაწყო ე.წ. პროკურორის მაიდანი. თან ერთ ფარულ სატელეფონო ჩანაწერში იქადნებოდა: მე გადავაბრუნებ უკრაინას. მთელ უკრაინაში გამოვაცხადებ, რომ პოროშენკო არის პირველი კორუფციონერი, თუმცა პოროშენკომ იმდენი შეძლო, რომ სააკაშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა და გამოაბუნძულეს უკრაინიდან. მაგრამ მიხეილი არ დაიბნა და რიტორიკა შეცვალა.

ამ ამბების შემდგომ ჩაწერილ ერთ ინტერვიუში ის ამბობს: ჩემს როლს ვხედავ იმ ადგილას, სადაც არის შესაფერისი სიტუაცია, ეს არის საქართველო და მე ვიცი, რაც უნდა გააკეთოს საქართველომ უკრაინელებთან ერთად...

2012 წლის შემდეგ რასაც ვხედავთ და გვესმის, უცხოეთის ნეოფაშისტებიდან მხარდაჭერილი სააკაშვილის და მისი ბანდის გამუდმებული მცდელობებია, რომ საქართველოში მოაწყონ უკრაინისმაგვარი სისხლისღვრა და დააქციონ ეს ქვეყანა, ისე, როგორც გააპარტახეს უკრაინა, რადგან სააკაშვილისნაირებისთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს; ხოლო იმ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, რომ სამშობლო არ აქვს ცხოველს, სააკაშვილი და მისი ბანდა გარეული ცხოველების ჯოგს ჰგავს, რომლებიც იზოლაციაში უნდა იყვნენ...

**ამერიკის ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლის შემდეგ, იმედია, დამთავრდება უკრაინის დამაქცევარი ომი და დაიწყებენ ზელენსკის ფეხებით ჩამოკიდების პროცესს. ამ პროცესში, სავარაუდოდ, სააკაშვილის და მისი ოჯახის დანაშაულებრივი სისხლიანი საქმეებიც ამოტივტივდება და სიზმარივით გამართლდება ის წინათგრძნობა, რაზეც შიშობდნენ ფარულ ჩანაწერში ადეიშვილი და სააკაშვილი – „დაგვერხევაო“!!!**

**ვეღარ უშველიან დამნაშავეებს მათი მფარველები.**

**ველოდოთ დიდ სამხედრო ტრიბუნალს უკრაინაშიც და საქართველოშიც.**

**საქართველოში ეს პროცესი უკვე დაწყებულია.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის შემსწავლელ კომისიას თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს.**

**გვამეგზე მონადირე მიშას და ამ სისხლისმსმელის ნასუფრალით გამოკვებილი ნაცხროვის განკითხვის ჟამი დგება!..**

**ირანდა კალანდაძე**



# „ბიჭაკების საქმეო“ – ოჰ, თქვე მართლა თახსირო ნაცებო!

**(პირველი გვერდიდან)** **კოსმეტიკური პროცედურებისთვის – 700 000 ლარზე მეტი, მიხეილ სააკაშვილის სტილისტის ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 75 181 ლარი; მიხეილ სააკაშვილსა და გიგი უგულავაზე ქ.ინსბრუკში გამაჯანსაღებელ ცენტრში გასახდომი პროცედურებისთვის ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 114 682 ლარი; მარიამ საჯაიას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ბათუმში მოგზაურობებში, ასევე, მისთვის საჩუქრების შესაძენად გადახდილია 10 673 ლარი; ალანა გაგლოევას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 401 ლარი; სარა ვარონესა და მონიკა პუგლიას სამკაულებით დასასაჩუქრებლად გადახდილია 10 670 ლარი; თინა ბოკუჩავასთვის “IPhone”-ის მობილური ტელეფონის შესაძენად გადახდილია 1600 ლარი; სოფო ნიჟარაძისთვის ანაზღაურებულია სასტუმრო მომსახურებისა და სამგზავრო ბილეთების ხარჯები 5430 ლარი; კრისტინა და ნატალია უსოვების სასტუმრო მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 15 873 ლარი; ვერა ქობალიას მშობლების, ასევე მისი დის - ნინა ქობალიას სამგზავრო ბილეთების შესაძენად - 38 247 ლარი; ლონდონში მკერდითმხატვრის მერედიტ ოსტრომის მიერ შესრულებული ნახატის შესაძენად გადახდილია 15 989 ლარი; მიხეილ სააკაშვილისთვის დაქირავებული ესპანელი მზარეულის – სერქიო ქალდერონ ლატასას შრომის ანაზღაურებისთვის, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის, მისი თარჯიმნის შრომის ანაზღაურებისთვის და ესპანეთში მგზავრობისთვის გახარჯულია 191 643 ლარი; მიხეილ სააკაშვილის სტილისტის ალი კამალის სასტუმრო მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 75 181 ლარი; კობა ნაყოფიას, გოგა ხაჩიძის, ნუგზარ წიკლაურის, გიორგი**



**თის ქვეყნებში მიხეილ სააკაშვილისთვის ველოსიპედების დაქირავებისთვის გადახდილია 35 350 ლარი; იტალიაში, ქალაქ პიზაში იახტის დაქირავებისთვის გადახდილია 25 237 ლარი; მიხეილ სააკაშვილისთვის დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკისა და ერთი ქაშმირის სპორტული პალტოს შესაძენად გადახდილია 49 499 ლარი და ხელით ნაკეთი 2 კოსტიუმის შესაძენად – 7 994 ლარი; აშშ-ში, ინგლისსა და საქართველოში ათი ერთეული მაჯის საათის შესაძენად გადახდილია ჯამში 53 283 ლარი; მიხეილ სააკაშვილისთვის კოსმეტიკური პროცედურებისათვის ჯამურად გადახდილია 721 827 ლარი.**

**სასტუმროს მომსახურებისთვის გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 2 000 000 ლარზე მეტი, სამგზავრო ბილეთების შესაძენად – 1 მილიონ ლარამდე, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიხეილ სააკაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და სხვა პირების კვებით მომსახურებაზე – 1 400 000-ზე მეტი, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტით მომსახურებაზე – 2 მილიონ ლარზე მეტი, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის – 300 000 ლარამდე, ტანსაცმლის შესაძენად – 100 000 ლარზე მეტი, საჩუქრებისა და სუვენირების შესაძენად - 250 000 ლარამდე და სხვ.**



2009 წლის მაისიდან 2013 წლის 25 თებერვლამდე, მიხეილ სააკაშვილის პირადი კომფორტის და ფუფუნებისთვის დანაშაულებრივად გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი **9 024 367** ლარი

**გაბაშვილის, სერგო რატიანის, პეტრე ცისკარიშვილის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი არველაძის საზღვარგარეთ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილია 88 919 ლარი; ტაილანდის კურორტ ფხუკეთში, მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქრაძის, ლევან ვარშალომიძის სასტუმროს, ავტომობილის მომსახურების, კვების და ავიაბილეთების ხარჯებში გადახდილია 127 858 ლარი; მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრების – გიული ალასანიას, თეიმურაზ ალასანიას, ნიკა ალასანიას და გიორგი ალასანიას მოგზაურობებზე დახარჯულია 25 117 ლარი; მიხეილ სააკაშვილის შვილების სწავლის დასაფინანსებლად გადახდილია 64 929 ლარი; შვილისთვის - ედუარდ სააკაშვილისთვის „IPhone“-ის მობილური ტელეფონის შესაძენად გადახდილია 2350 ლარი; მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი უგულავასთვის ავსტრიაში „პორშეს“, „მერსედესისა“ და „აუდის“ მარკების ავტომანქანების დაქირავებისთვის გადახდილია 58 876 ლარი; იტალიაში, ქ. ვერონაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას ლიმუზინისა და მინივენის დაქირავებისთვის გადახდილია 45 214 ლარი; პერუში ვერტმფრენის დაქირავებისთვის გადახდილია 33 204 ლარი; საზღვარგარე-**

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. რაც შეეხება თეიმურაზ ჯანაშიას, მისი ქმედება ნაცვლად გაფლანგვისა შეფასდა, როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 300 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს პროკურატურა თეიმურაზ ჯანაშიას ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრებს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ ორ სისხლის სამართლის საქმეზე – სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების და ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ფაქტებზე უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენები. აღნიშნული საქმეები განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც და დაადგინა, რომ მართლმსაჯულება იყო სამართლიანი, სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული და არ ისახავდა მიზნად ბრალდებულის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორების.




**როგორც ქართული მითოლოგიით მტკიცდება, ჩვენი წინაპრები წარმართები ყოფილან. მთვარესა და მზეს ეთაყვანებოდნენ. IV საუკუნეში მთაში ბერძენი მისიონერი, ათინოგენი ათ მოწაფესთან ერთად იმყოფებოდა. მისი ქადაგების შემდეგ, ხალხმა სარწმუნოებრივი მოსაზრება შეიცვალა და მის პატივსაცემად მთაში დღესასწაულს „ათენგენოგა" დაერქვა, თუმცა წარმართული დეტალები მაინც შემორჩა ხალხში. „ათენგენოგა" ივლისის ბოლო ხუთშაბათს, ხონისგორ-მთავარანგელოზის, ხოლო პარასკევს მუცოს წმინდა გიორგის სალოცავებისკენ მიემართებიან ხევსურები და სწორედ აქ ხდება საერთო კრების ჩატარება და გვარის ავ-კარგზე საუბარი.**


ნანა შეთეკაური


ბესიკ შეთეკაური

# დიდხანს მოგვდგამდეს ხევსურთა ვაჟკაცობა

**2010 წლის 29 აგვისტოს პატრიარქმა აკურთხა წმინდა გიორგის, მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის ხატები და დალოცა ჩვენი გვარი.**

**ჩვენი გვარიდან გასული გვარებია: – უზდარაულები, ცუცქიაურები, თალაურები, ჩოლოყაშვილები.**

საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჩოლოყაშვილების გვარს. XVI საუკუნეში კახეთის მეფეების ალექსანდრე I და გიორგი II სახლთუხუცესად ბეენა ჩოლოყაშვილს უმოღვაწია. მოგვიანებით გიორგი მეორე, ალექსანდრე პირველის ქალიშვილს ელენეს ცოლად ირთავს. 1789 წლის დავით ბატონიშვილის აღწერით მუცო იმდენად ლამაზი ყოფილა, მოიხსენიებს სადედოფლო სოფლად. 2000 ოჯახამდე უცხოვრიათ კომლებს ხევსურეთში, მაგრამ 1812-1815 წლებში მოსახლეობის ნახევარი დაიღუპა, „შავი ჭირის" ჟამიანობის დროს. ამას მოწმობს ანატორის ღია სასაფლაო. ანატორის სოფლიდან 70 მებრძოლი ვაჟკაცი შეეწირა შავ ჭირს. არის ლეგენდა ახალშობილისა და მისი დედის შესახებ, აქ მხოლოდ ერთი კაცი გადარჩენილა.

ჩვენი საგვარეულო კავშირი დაფუძნდა შვიდი მამაშვილობიდან თითო წარმომადგენლის მონაწილეობით, რომელსაც ხელმძღვანელობს **ბესიკ შეთეკაური.** 2012 წელს დიდი შეკრება გვქონდა სამების საკათედრო ტაძარში. მიუხედავად გვარის სიმცირისა, პირიქითა ხევსურეთში და ქისტეთში გვყავდა და გვყავს სასახელო გვარისშვილები. ჩვენი წინაპრებიდან განთქმული ხევისბერი **როსტომ შეთეკაური** – მონადირე, სამჯერ თოფის დამმარხავი (100 ჯიხვს ვინც მოკლავდა, თოფი უნდა დაემარხა მიწაში), ასეთი შემთხვევა მას 3-ჯერ ჰქონდა.



**ტოლხა შეთეკაური** – ზეპირმეტყველი, საუკეთესო ლექსების ავტორია, გაგაცნობთ ერთ მის საუკეთესო ლექსს :

**„ტოლხამ თქვა შეთეკაურმა,**
**ხმალს არ შევიბამ სხვისასა,**
**მოყვარისა მტრობას არ ვიზამ,**
**პირს არ ვაკოცებ მტრისასა.**
**ვეფხვის გზას ვეფხურ გავივლი,**
**მგლურად გავივლი მგლისასა,**
**სხვას ვინ რა გვკითხავს**
**ქვეყნისას,**
**ვინ გვარჩევინებს ვისასა."**

**გიორგი შეთეკაური** – პოეტი, საქართველოს და სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი;

ახალი თაობიდან სპორტსმენები: ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოში და სამბოში – **თემურ შეთეკაური** სპორტის ოსტატი, კრივში – დიმიტრი და ვეფხვია შეთეკაურები.

**ლერი შეთეკაური** – საქართველოს პირველობა სამჯერ, თბილისის ჩემპინატი ხუთჯერ, სსრკ და საკავშირო ტურნირებზე, ახალგაზრდებში პირველი ადგილები აქვს მოპოვებული.

ასევე წარმატებულია ქორეოგრაფი და პოეტი **მოსე შეთეკაური.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია **შამილ შეთეკაური, ცნობილი** მხატვარია **შოთა შეთეკაური;**

**ბაისახურ შეთეკაური** – მანქანათმშენებლობის დარგის გამომგონებელია.

თითქმის ყველა დარგში გვყავს წარმატებული გვარისშვილები.

დედით შეთეკაური იყო ჩვენი სახალხო გმირი – **თორღვა.**

მინდა მოვიხსენიო აწ გარდაცვლილი ჩემი ბიძაშვილი **გიორგი შეთეკაური.** სამი წლის წინ დაიბეჭდა მისი ლექსების კრებული.

ერთ-ერთ მის საუკეთესო ლექსში პოეტი წერს:

**„იქა ვარ დაბადებული,**
**სადაც არღუნი დისაო,**
**იქვე ვარ მიბარებული,**
**ყორე მიკოცნავ ქვისაო...**
**მაღლა სჩანს ციხე-კოშკები,**
**ნაგები სიპი ქვისაო,**
**რა ლამაზია საცქერლად,**
**სამკვიდრო ხევსურისაო".**

ჩემი მოკრძალებული ერთი კუპლეტით დავლოცავ ჩემს გვარს და სრულიად საქართველოს.

**„მე ერთხელ კიდევ**
**დაგლოცავთ ყველას,**
**თქვენს ოჯახებში იხაროს**
**ჭერმა,**
**იხაროს თქვენმა სახლის**
**ფუძემა,**
**სიკეთე მოგცეთ**
**მაღალმა ღმერთმა"**

**ნანა შეთეკაური,**
**გვარის წარმომადგენელი.**

# მოსე თოიძე სიღნაღის ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმში




**სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 2025 წლის 27 მარტიდან 15 სექტემბრამდე უმასპინძლებს გამოფენას – „მოსე თოიძე".**

მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება პროფესიონალ, ქართველ მხატვართა პირველი თაობის წარმომადგენლის, ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სახალხო სამხატვრო სტუდიის დამაარსებლის, პროფესორ მოსე თოიძის (1871-1953) ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

მისი შემოქმედება ეროვნული მხატვრობის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილია, რომელშიც ნათლად აისახა ევროპულ-მხატვრულ ტენდენციებთან ქართული ფერწერის შერწყმის არცთუ მარტივი პროცესი.

მოსე თოიძის მდიდარი შემოქმედება – კლასიკური აკადემიური ფერწერიდან, მოდერნისტულ ექსპერიმენტებამდე მას ქართული ფერწერის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად აქცევს. განუზომელია მისი წვლილი ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

გამოფენაზე წარმოდგენილია შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნებისა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმების კუთვნილი მოსე თოიძის 50-მდე გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვადასხვა მუზეუმში, მათ შორის, მისი სახელობის სახლ-მუზეუმში, სადაც თავმოყრილია მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, პირადი არქივი და ფოტომასალა.



# დაგვიბრუნდა ქართულ-იტალიური დიპლომატიური ურთიერთობის არქივი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, იტალიაში საქართველოს პირველი ელჩის ბები თავართქილაძის თაოსნობით, ცენტრალურ არქივს ქართულ-იტალიური დიპლომატიური ურთიერთობის არქივი გადაეცა.**

**5 ენაზე შესრულებულ 400-გვერდიან დოკუმენტში თავმოყრილია საქართველოსა და იტალიას შორის არსებული ისტორიული დიპლომატიის ელემენტები და ნიმუშები. მეცნიერებს დოკუმენტის დამუშავების შესაძლებლობა ეროვნულ არქივში ექნებათ.**

# ქართველ ახალგაზრდა მეცნიერ ქალთა წარმატება სან დიეგოში

**ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან დიეგოში ახლახან გაიმართა ამერიკის უჯრედული ბიოლოგიის ასოციაციის (ASCB) და ევროპული მოლეკულარული ბიოლოგიის ორგანიზაციის (EMBO) საერთო ხელშეწყობით მეცნიერულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონგრესი.**

ყოველწლიურად CellBio ASCB/EMBO-ს კონფერენციაზე იკრიბებიან მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები, ექიმები, ახალგაზრდა დოქტორანტები, ინჟინრები და სხვა მეცნიერული სფეროს პროფესიონალები. კონგრესს ესწრებოდნენ უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები ჰარვარდის, იელის, ტოკიოს, კემბრიჯის და სხვა უნივერსიტეტიდან. საფრანგეთიდან წარმოდგენილი იყო ისეთი ინსტიტუციები, როგორიცაა სორბონის უნივერსიტეტი,ასევე მარი კურის კვლევითი ცენტრი, ჩენ-ცუკენბერგის ფონდი, სხვადასხვა დიდი ფარმაცევტული კომპანიები. ყველა სტრუქტურა, რომელიც იღვწის თანამედროვე მედიცინის და მეცნიერების განვითარების სფეროში.



იზეტა კანკაძე (მარჯვნივ) და ანი ხუცაიძე

ამ საერთაშორისო საზოგადოებაში შესაძლებელი იყო სამი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის: იზეტა კანკაძის, ანი ხუცაიძისა და თამარ ბასიაშვილის გამორჩევა, რომლებიც კონგრესზე პრეზენტაციას უკეთებდნენ თავიანთ მეცნიერულ ნაშრომებს. წყალტუბოელი იზეტა კანკაძე საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტია, ხოლო ანი და თამარი ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებს წარმოადგენენ. კალიფორნიის თბილ ქალაქ სან დიეგოში ისინი თავდაუზოგავმა შრომამ და წარმატებისკენ სწრაფვამ გააერთიანა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები ერთმანეთს არ იცნობდნენ, თუმცა საერთაშორისო ღონისძიებებზე ურიცხვი მონაწილის ჩამონათვალში თვალები ხომ სულ თანამემამულეთა ამოკითხვას ლამობენ.

ასე აღმოჩნდნენ ერთმანეთის პრეზენტაციაზე იზეტა და ანი. „მხედველობის სისტემის ჩამოყალიბება ტვინის განვითარების პროცესში“ – ასეთი იყო იზეტა კანკაძის მოხსენების თემა (ხელმძღვანელი პროფესორი ნიკოლ ქზავიე). ქართველი ახალგაზრდა დოქტორანტების ნაშრომებმა უფროსი კოლეგების დიდი ინტერესი დაიმსახურეს, თავიანთი ცოდნის გაზიარებასთან ერთად მათ მდიდარი გამოცდილება მიიღეს უცხოელი კოლეგებისგან. პრესტიჟული კონგრესის მიწურულს ქართველებმა დიდი გულისტკივილით აღნიშნეს თანამედროვე ქართული მეცნიერების პერსპექტივა განსაკუთრებით ნეირომეცნიერებების დარგში, მაგრამ ასევე დიდი იმედი დაისახეს საქართველოს მეცნიერების სფეროს გამრავალფეროვნებისთვის და საერთაშორისო ასპარეზზე წარდგენისთვის.

გვჯერა, რომ ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეები თანამედროვე მეცნიერების განვითარებას მომავალში საქართველოშიც გააგრძელებდა.

**ლაშა გუბელაძე**

# ქართული პარლამენტარიზმის პატრიარქი



**დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არცთუ მრავალრიცხოვანია იმ ადამიანთა ჩამონათვალი, პირნათლად რომ მოიხადეს ვალი ამომრჩეველთა წინაშე და საზოგადოებაში უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობენ.**

**ამ კატეგორიის პოლიტიკოსთა ღირსეული წარმომადგენელია კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე ინგუშა აბესაძე, რომელიც საყოველთაო პატივისცემას იმსახურებს.**

**ინგუშა აბესაძე** დაიბადა 1939 წლის 12 აპრილს ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში, ზოტინე აბესაძის და აგრაფინა ბარათაშვილის მრავალშვილიან ოჯახში.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის საქართველოს მთიან რეგიონებში მრავალშვილიანობა არავის უკვირდა, ძნელად თუ მოიძებნებოდა ოჯახი, რომლის ყველა წევრი პროფესიულ დონეზე მღეროდა და ამასთანავე ფლობდა ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას. იშვიათობაა ისიც, რომ პედაგოგ ზოტინე აბესაძის რვა შვილმა პროფესიად მასწავლებლობა აირჩია და მომავალი თაობების აღზრდა-განათლება დაისახა მიზნად.

დასანანია, რომ ბატონი ინგუშას ერთ-ერთი ძმა, უნიკალური მუსიკალური შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი გივი აბესაძე ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა

ინგუშა აბესაძე ქ. ორჯონიკიძის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა სახელმწიფო დაწესებულებებში. კერძოდ, იყო დოსააფის სამხედრო სწავლების ინსტრუქტორი წყალტუბოში, სანატორიუმ „რკინიგზელის“ კულტურულ-მასობრივი მუშაობის ხელმძღვანელი, კურორტის მართვის საბჭოს კადრების ინსპექტორი, წყალტუბოს ზონის კულტურის განყოფილების გამგე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ნიშანდობლივია, რომ ორიგინალური ხელწერის პროზაიკოსის, ჩემი დიდი თანასოფლელის, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა სოფელ ჩუნეშში, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ინგუშა აბესაძის სახელთანაა დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის შედეგად იავარქმნილ საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს, ბატონი ინგუშა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელდა წყალტუბოში და ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით პირველი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში დაიკავა ადგილი.

თავს უფლებას მივცემ, მკითხველ საზოგადოებას შევახსენო რამდენიმე ამონარიდი ინგუშა აბესაძის წინასაარჩევნო პროგრამიდან:

„მოქმედების ძირითად მიმართულებად და დედააზრად მიმაჩნია ქრისტიანული მოძღვრების – „გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ცხოვრებაში დამკვიდრება. ტაქტიანი ბრძოლა დაუნდობლობის, უსაფუძვლო კონფლიქტების, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისა და სიცოცხლის ხელყოფის, შუღლის, ღალატის, სისასტიკის აღსაკვეთად, ურთიერთპატივისცემის, თანადგომის, შემწყნარებლობის, სწავლისა და შრომის ნორმალური პირობების დასამკვიდრებლად.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან ერის გამოყვანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიმაჩნია, ყველა მოქალაქემ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, კარგად იცოდეს წუთის ფასი და უქმად არ ფლანგავდეს ღვთისგან მონიჭებულ ამ სიმდიდრეს“...

გაზეთ „წყალტუბოს“ 1993 წლის 9 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ანგარიშვალდებული ადამიანის პოზიციიდან ამბობს, ჩემი ყოველი დღე იწყება ფიქრით, შესაძლებლობის მაქსიმუმი მოვახმარო ამომრჩეველთა უპირველესი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ზოგჯერ უხმაუროდ უფრო მეტი საქმე შეიძლება გაკეთდეს, ვიდრე გაუთავებლად ლაპარაკითო!

როგორც ირკვევა, ბატონი ინგუშა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ყოფილა ყმაწვილკაცობიდანვე, რასაც ადასტურებს 1959 წლით დათარიღებული სამადლობელი წერილი სამხედრო ნაწილიდან, რომლის თანახმად, რიგითი ი.ზ. აბესაძის საბრძოლო შემართება, ფიზიკური ამტანობა და მოვალეობის გრძნობა სამაგალითოდ არის მიჩნეული.

თანმდევი სირთულეების მიუხედავად, ინგუშა აბესაძე პასუხისმგებლობას არასოდეს გაქცევია, ჩრდილში არ გამდგარა და კომფორტი არ უძებნია. შესაბამისად, იგი ვერ გახდებოდა მაქსიმ გორკის რიტორიკული შეკითხვის ადრესატი, მედროვე ადამიანების გასაგონად რომ დასვა დიდმა მწერალმა: **„С кем Вы, мастера культуры“?**

სწორ ოჯახურ აღზრდასა და შრომისმოყვარეობას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ზოტინე აბესაძის ოჯახში ექვსი ორდენოსანია. აგრაფინა ბარათაშვილი „გმირი დედის“ ორდენის კავალერი იყო, ხოლო ვაჟა, მიხეილი, ინგუშა, გიგა და რევაზი ღირსების ორდენებით არიან დაჯილდოებული.

ცნობილი გამოთქმის მიხედვით, თუ სიკეთის გაკეთება შეგიძლია, მორალური პასუხისმგებლობაც გეკისრება, რომ აუცილებლად გააკეთო იგი. სხვას რომ თავი დავანებოთ, კულტურის სფეროში მოღვაწეობის, პარლამენტში სამწლიანი და წყალტუბოს გამგებლის მოადგილედ მუშაობის პერიოდში ბატონ ინგუშას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, ძნელად თუ ჩამოთვლის კაცი.

საკუთარი ღვაწლის გამო დადუმება კიდევ უფრო ადიდებს ამ ღვაწლსო, გვასწავლის ფრანგული ანდაზა. ბატონი ინგუშას თავმდაბლობის ამბავი რომ ვიცით, იმიტომ ვაძლევთ თავს უფლებას, ორიოდე თბილი სიტყვა ვუთხრათ იმ ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სამსახურში გაატარა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, იგი კვლავაც ენთუზიაზმით მონაწილეობს ყველა ღონისძიებაში, სადაც მიიწვევენ ორგანიზატორები და აქტიურად არის ჩართული საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ საქმიანობაში.



წინა პლანზე, მარცხნიდან – მარჯვნივ: **ვახტანგ რჩეულიშვილი, ვახტანგ გოგუაძე, ინგუშა აბესაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი.**

რაც შეეხება სიმღერას, ინგუშა აბესაძისა და მისი და-ძმებისთვის არასდროს ყოფილა გართობის საშუალება, რადგან უდიდესი შრომა აქვთ ჩადებული მრავალფეროვანი რეპერტუარის მომზადებაში. ასეთი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია ის მრავალრიცხოვანი ჯილდო და ოქროს მედლები, სხვადასხვა წარმომადგენლობით ფესტივალებში რომ აქვთ სრულიად დამსახურებულად მოპოვებული.

ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, რადიოში მოსმენილ აბესაძეების ხმაშეწყობილ ჰანგებს რომ ვიხსენებ, იქვე მახსენდება პოეზიის ჯადოქარი გალაკტიონი:

**„ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე,**
**რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში,**
**არსად ისე არ მღერიან,**
**როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.**

სიმღერა სიმღერად, მაგრამ როგორც ირკვევა, ბატონი ინგუშა მუზასთანაც ყოფილა გაშინაურებული. თუ ქალის მოხიბვლა გინდა, პოეზიაზე უკეთეს მოკავშირეს ვერ იპოვიო, ნათქვამია. ინგუშა აბესაძე ისე მოხიბლულა მომავალი მეუღლის, ნარგიზა სვანიძის მშვენიერებით, ლექსად გამოუთქვამს აღფრთოვანება:

**გაიხსნა გული, ვიხილე როცა,**
**შენი თვალების ხედვა ფაქიზი,**
**თითქოს გეწადა შეხვედრა ჩემთან,**
**ისე გამოჩნდი მზეო – ნარგიზი...**

ადამიანს, რომელიც სიყვარულს მალავს, შესაძლოა მძიმე სენი შეეყაროსო, ამტკიცებენ ამუროლოგები. როგორც ჩანს, ბატონმა ინგუშამ გაითვალისწინა ეს შეგონება, მხნეობა მოიკრიბა, სიყვარულში გამოუტყდა გულისსწორს და ასე ჩაუყარეს საფუძველი ფუძეძლიერ ქართულ ოჯახს, რომელიც სამაგალითოა მთელ საქართველოში.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აბესაძეების მუსიკალურ ოჯახს 50-ზე მეტი სიმღერა ჰქონდა რეპერტუარში, მათ შორის, „მრავალჟამიერი“, „კუჩხი ბედინერი“, „წინ წყარო“, „შენ ხარ ვენახი“, „სუფრული“, „სიმღერა დედაზე“, „მოდი, მოდი გაზაფხულო“...

**„მოდი, მოდი გაზაფხულო, აბა,**
**ჩამოგვშორდი მარტის თვეო“...**

ბატონო ინგუშა, მალე მოვა გაზაფხული, ჩამოგვშორდება ჭირვეული მარტის თვე და დადგება 12 აპრილი, თქვენი ამ ქვეყნად მოვლინებიდან 86-ე დაბადების დღე. წინსწრებით გილოცავთ და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს–თქვენ ხომ კიდევ ბევრი კეთილი საქმე გაქვთ გასაკეთებელი.

**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.**



**ბრიტანულ „დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „კურსკის შვერილის ოპერაცია - უკრაინის ყველაზე ძვირადღირებული შეცდომა“ (ავტორი – რიჩარდ კემპი, სამხედრო მიმომხილველი, გადამდგარი პოლკოვნიკი). „2023 წლის კონტრშეტევის კრახის შემდეგ დასავლეთის იმედები, რომ უკრაინა რუსეთზე გამარჯვებას შეძლებდა, მკვეთრად შემცირდა. ვოლოდიმირ ზელენსკიმ, რევანშის მიზნით, კურსკის ოლქის ოკუპაცია განიზრახა და ამით კიდევ ერთხელ შეცდა“, – ასეთია პუბლიკაციის დედააზრი.**

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

# კურსკი — უკრაინის ძვირადღირებული შეცდომა!

**რა თქმა უნდა, ის, რაც კურსკის ოლქში მოხდა – როცა უკრაინის ჯარები საშინელ დღეში ჩავარდნენ და კიევი იძულებული გახდა ისინი უკან გაეყვანა – ფრიად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მას აქვს მეორე მხარეც – მატულობს ალბათობა იმისა, რომ რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება მალე დაიწყება. ვლადიმერ პუტინს რომ უკრაინის არმია კურსკის ოლქიდან არ გაეძევებინა, კრემლი საეჭვოა მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. იგი, ალბათ, მოითხოვდა, რომ კიევის ჯარი მისი ტერიტორიიდან გასულიყო. რუსეთის ტერიტორიიდან ნებაყოფლობითი გასვლა, რომელიც შარშან აგვისტოში ბრძოლით იქნა დაკავებული, ვოლოდიმირ ზელენსკისათვის დიდი პოლიტიკური პრობლემა იქნებოდა, მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, როცა იძულებულია, მტერს საკუთარი ქვეყნის ტერიტორია (ახლა უკვე დონბასიც) დაუთმოს.**

ვლადიმერ პუტინი ამჟამად მდგომარეობის ბატონ-პატრონია. თავიდანვე ბევრისთვის გასაგები იყო, რომ კურსკის ოლქში შეჭრის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი – რუსეთზე ზეწოლა – განუხორციელებელი იყო და მას უკრაინა ვერასოდეს ვერ მიაღწევდა.

უკრაინის არმიის მთავარსარდალი ალექსანდრე სირსკი ამას მიხვდა და ამიტომ ბოლო დროს სულ ჯარისკაცთა სიცოცხლის შენარჩუნებაზე ლაპარაკობდა და არა კურსკის ოლქის სუჯას რაიონში პოზიციების დაცვაზე.

კიევში ასევე იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ჯარის შეყვანით ისინი ვლადიმერ პუტინს აიძულებდნენ, დონბასიდან კურსკში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები გადაესროლა მოწინააღმდეგის წინსვლის შესაჩერებლად, რითაც დონბასში რუსების შეტევა შენელდებოდა. მაგრამ ამ იდეამ არ იმუშავა. ამის ნაცვლად რუსეთმა უკრაინის არმიის „კურსკის შვერილს“ (1943 წლის ტერმინოლოგიით) საკმაოდ შეზღუდული ძალებით შეუტია, თან ჩრდილოკორეელები დაიხმარა (თუმცა ნაკლები წარმატებით). ამასობაში უკრაინელებსაც გაუჭირდათ - მათ სარეზერვო ძალები თითქმის აღარ დარჩათ, თანაც ისედაც არ ჰყოფნიდათ პირადი შემადგენლობა. კიევი იძულებული გახდა დონბასის ფრონტზე თვითონ მოეხსნა ქვედანაყოფები და კურსკში გადაესროლა, რათა პლაცდარმი შეენარჩუნებინა. რა თქმა უნდა, ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა რუსეთმა და დონბასში წინსვლა დაიწყო – ნელა, მაგრამ შეუჩერებლად.

2023 წლის კონტრშეტევის ჩაშლის შემდეგ დასავლეთის იმედი, რომ უკრაინა რუსეთზე გაიმარჯვებდა, ჩაქრა. მოგვიანებით პოლიტიკოსების ყურადღება უმთავრესად ახლო აღმოსავლეთზე იქნა გადატანილი. კურსკზე შეტევით ვოლოდიმირ ზელენსკი ფიქრობდა, რომ შესუსტებულ საერთაშორისო მხარდაჭერას გააძლიერებდა და გამოაცოცხლებდა იმედს– ახლაც ისე მოხდება, როგორც 2022 წელს ხერსონთან და ხარკოვთან მოხდა, როცა რუსეთს უკან დაახევინეს. უკრაინის პრეზიდენტს სურდა, რომ კიდევ ერთხელ ეჩვენებინა მსოფლიოსათვის – კიევს ბრძოლა და გამარჯვება შეუძლია, თუ მას საჭირო იარაღს მისცემენ.

...მაგრამ უკვე გვიან იყო: ამერიკას და ევროპას აღარ სჯეროდათ, რომ უკრაინას რუსეთის დამარცხება შეუძლია და მათ ფიქრი ომის დიპლომატიურად მოგვარებაზე დაიწყეს. რა თქმა უნდა, ასეთი სატირელი მდგომარეობის გამო ბრალი ვაშინგტონს და ბრიუსელს მიუძღვით, რომ მათ გაუბედაობა გამოიჩინეს და ვლადიმერ პუტინის მრისხანებისა შეეშინდათ. ჯო ბაიდენი და მისი ევროპელი კოლეგები უკრაინას მხოლოდ იმდენ იარაღს აძლევდნენ, რომელიც საკმარისი იყო მხოლოდ თავდაცვისათვის და არა მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისათვის. დასავლეთზე ამ მხრივ – იარაღის მიწოდების გაზრდაში – პოზიტიური გავლენა ვერც კურსკის ოლქში შეჭრამ ვერ მოახდინა, რომელიც პირველად განხორციელდა რუსეთის მიმართ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.




**...მაგრამ უკვე გვიან იყო: ამერიკას და ევროპას აღარ სჯეროდათ, რომ უკრაინას რუსეთის დამარცხება შეუძლია და მათ ფიქრი ომის დიპლომატიურად მოგვარებაზე დაიწყეს. რა თქმა უნდა, ასეთი სატირელი მდგომარეობის გამო ბრალი ვაშინგტონს და ბრიუსელს მიუძღვით, რომ მათ გაუბედაობა გამოიჩინეს და ვლადიმერ პუტინის მრისხანებისა შეეშინდათ.**

**ამერიკულ გაზეთ „უოლ სთრით ჯორნელში“ (The Wall Street Journal) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „რუსეთი კურსკის ოლქში უკრაინის რისკიანი სამხედრო ოპერაციის ლიკვიდაციას ახდენს: კიევის უკანდახევა სამომავლო სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის კოზირის დაკარგვას ნიშნავს“ (ავტორები – ჯეიმს მარსონი და იანა ლიტვინენკო).**

**გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:**

**გასულ კვირაში რუსეთ-უკრაინის ომის ფრონტზე სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: კიევის გაბედული სამხედრო გამბიტი, რომელიც მან 2024 წლის აგვისტოში განახორციელა, თავის დასასრულთან მივიდა – ისევე სწრაფად, როგორც დაიწყო. რუსეთის გამალებული შეტევის შედეგად კურსკის ოლქის სუჯას რაიონში თავმოყრილ უკრაინის ჯარებს მომარაგების გზები გადაეჭრათ. უკრაინელები იძულებულნი გახდნენ ოკუპირებული ტერიტორიიდან ევაკუაცია მოეხდინათ.**

შარშან უკრაინამ თავისი მოკავშირეები კურსკის ოლქში შეჭრით ძალიან განაცვიფრა. თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინიც მიხვდა, რომ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: იგი გახდა პირველი კრემლელი მმართველი იოსებ სტალინის შემდეგ, რომელიც რუსეთის ტერიტორიიდან უცხო არმიის გაძევების აუცილებლობის წინაშე დადგა.

კიევი იმედოვნებდა, რომ რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიას მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე კოზირის სახით გამოიყენებდა–გაცვლის მიზნით, მაგრამ სიტუაცია ისე განვითარდა, რომ სამხედრო სარდლობამ ფიქრი დაიწყო: ჯარი რომ ალყაში – „ქვაბში“ – არ მოხვედრილიყო, აუცილებელი იყო მისი გამოყვანა.

კურსკის გამბიტის კრიტიკოსები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ იმ დროს, როცა დონბასის ფრონტზე უკრაინა ძალების მწვავე დეფიციტს განიცდიდა, კურსკის ოლქში შეჭრა და ამ მიზნით ელიტური სამხედრო ნაწილების გამოყენება ბედოვლათობას და სისულელეს წარმოადგენს. მართლაცდა, კიევმა დიდი დანაკარგები განიცადა – შვიდთვიანი ოკუპაციის დროს უკრაინის არმიამ საუკეთესო ნაწილები დაკარგა, აშშ-ის მიერ მიწოდებული ჯავშანტექნიკა ან განადგურდა, ან რუსებს ჩაუვარდათ ხელში. არადა, ის აუცილებელი იყო დონბასის ფრონტზე.

თუმცა ზოგიერთი სამხედრო ანალიტიკოსი ამბობს, რომ უკრაინას ყველა საფუძველი ჰქონდა, განეხორციელებინა რაღაც არაორდინარული ოპერაცია: კიევი დილემის წინაშე იდგა, მას დასავლეთის წინაშე რეპუტაციის აღდგენა სურდა. უკრაინელი ოფიციალური პირების აზრით, კურსკის ოპერაციამ მეტ-ნაკლებად თავისი საწყისი მიზნები გაამართლა. უკრაინის მოსახლეობამ და დასავლელმა მოკავშირეებმა დაინახეს, რომ ქვეყნის არმია ჯერ კიდევ ბრძოლისუნარიანია და მას შესწევს ძალა, შეტევები განახორციელოს თვით რუსეთის სიღრმეში. უკრაინამ ხელში ჩაიგდო რუსი ტყვეები, რომელიც რუსეთის საპყრობილეებში არაადამიანურ პირობებში მყოფი უკრაინელი სამხედრო ტყვეების გადასაცვლელად გამოიყენა.

**უკრაინის არმია რომ კურსკის ოლქში დარჩენილიყო, მას ძალიან ძვირი დაუჯდებოდა– მით უმეტეს ახლა, როცა მისი მთავარი მოკავშირე – აშშ – რუსეთისაკენ იხრება.**

**უკრაინის არმიის უკანდახევის დროს რუსმა ჯარისკაცებმა ხელში ამერიკული მძიმე სამხედრო ტექნიკა ჩაიგდეს – ტანკები „აბრამსები“ და კიდევ სხვა ჯავშნიანი მანქანები. ტანკებში დაღუპული უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები აღმოჩნდნენ.**

კრემლი თავდაპირველად თითქოსდა შეურიგდა უკრაინელების უპრეცედენტო შეჭრას კურსკის ოლქში. მსოფლიოში ბევრს ეგონა, რომ მოსკოვი ბირთვულ იარაღს გამოიყენებდა, მაგრამ ვლადიმერ პუტინმა თავი შეიკავა და კურსკის ბრძოლებმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რუსეთის ხელისუფლებამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ევაკუაცია მოახერხა და სუჯას რაიონის ოკუპაციას შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მაგრამ 2024 წლის დეკემბერში კურსკის ფრონტზე ჩრდილოკორეელები გამოჩნდნენ. ისინი, მართალია, არ იცნობდნენ თანამედროვე ომის წესებს, რაც ძალიან ძვირად დაუჯდათ (ჩრდილოეთ კორეის კარჩაკეტილმა პოლიტიკამ თავისი ნეგატიური შედეგი აჩვენა), მაგრამ ობიექტურად თუ ვიტყვით, კორეელებმა მაღალი დონის ფიზიკური მომზადება, ძალა და მამაცობა გამოავლინეს.

მოგვიანებით ჩრდილოკორეული არმიის ქვედანაყოფებმა გაითვალისწინეს ბრძოლებში მიღებული მძიმე გამოცდილება, თანდათან დახვეწეს თანამედროვე ტაქტიკა და კვლავ ბრძოლებში ჩაებნენ. ისინი მცირე ჯგუფების სახით მუდმივად უტევდნენ უკრაინის არმიის მომარაგების გზებს და კიევს პრობლემებს უქმნიდნენ.

თებერვლის დასაწყისში რუსებმა და ჩრდილოკორეელებმა ერთობლივი შეტევა წამოიწყეს და უკრაინის არმიის ნაწილები შეავიწროვეს. დიდი როლი შეასრულეს რუსულმა ახალმა, გაუმჯობესებული ტექნოლოგიიით აწყობილმა დრონებმაც. მარტის დასაწყისში უკრაინის არმიისათვის მძიმე სიტუაცია შეიქმნა – სუჯას გარნიზონს მომარაგების გზები გადაეჭრა და მას ალყაში მოქცევის საფრთხე დაემუქრა. ძალიან გაძნელდა დაჭრილი ჯარისკაცების გადაყვანა „დიდ მიწაზე“ და დამატებითი ძალების მიღება. აშკარა გახდა, რომ თავდაცვა იშლებოდა და კრახი ახლოვდებოდა.

როცა გასულ კვირაში ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა, მთავარსარდალი ალექსანდრე სირსკი იძულებული გახდა, კურსკის ფრონტზე შექმნილი მძიმე სიტუაცია ეღიარებინა. მას აკრიტიკებდნენ დაყოვნებული მოქმედების გამო, მაგრამ როგორც გენერლის თანაშემწეები ამბობენ, მთავარსარდალს უწევს ხისტი ბალანსი დაიცავს ჯარისკაცების სიცოცხლის შენარჩუნებასა და ტერიტორიის დატოვებას შორის. ალექსანდრე სირსკიმ კურსკის ფრონტი იმ დროს მოინახულა, როცა უკვე ყველა უკანდახევაზე ფიქრობდა.

ანალიტიკოსების თქმით, აშშ-ის მხრიდან იარაღის მიწოდებისა და სადაზვერვო მონაცემების შეწყვეტის ფაქტს უკრაინელთა მდგომარეობის გაუარესებაში მაინცდამაინც დიდი როლი არ შეუსრულებია – რუსების შეტევა უკვე დაწყებული იყო და მათ ქალაქ სუჯას დაკავებაც მოახერხეს.

უკრაინის არმიის უკანდახევა მთლიანობაში ორგანიზებულად განხორციელდა, თუმცა ზოგიერთ მომენტში ქაოსიც შეინიშნებოდა. უკანდახევა მუდმივი საარტილერიო და სარაკეტო სროლების ქვეშ მიმდინარეობდა, ზოგიერთმა უკრაინულმა ქვედანაყოფმა რუსეთის ტერიტორიის დატოვება დროულად ვერ მოახერხა.

**სამწუხაროდ, ცნობილი გახდა, რომ უკრაინის არმიის უკანდახევის დროს რუსმა ჯარისკაცებმა ხელში ამერიკული მძიმე სამხედრო ტექნიკა ჩაიგდეს – ტანკები „აბრამსები“ და კიდევ სხვა ჯავშნიანი მანქანები. ტანკებში დაღუპული უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები აღმოჩნდნენ.**



**სიმონ კილაძე**


ნუგზარ ფოფხაძე

# ჯონ კენედი და ვასილ მჟავანაძე... რიგითი ფოფხაძის გადასარჩენად


მეთიუ მაქსველ ტეილორ კენედი, კრისტოფერ ჯორჯ კენედი, მერი კერი კენედი, მერი კორტნი კენედი, კეტლინ კენედი, ეთელ კენედი (ჰოლდ დუგლას კენედი), რობერტ ფ. კენედი, ჯოზეფ პატრიკ კენედი, რობერტ ფ. კენედი უმც. ვირჯინია, გ. 1960-იანი წლები.

**ინტერნეტში, ტიკ-ტოკზე, გამოქვეყნდა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის ფოტოსესიის სურათები. ზოგიერთი მათგანი მარტო კი არ გამახსენდა, ასლი მეც მაქვს გადანახული პირად არქივში.**

**გონებაში ღიმილიანი მოგონებებიც ამოტივტივდა. ვგონებ, არაფერს დავაშავებ, 57 წლის წინანდელი ამბების გახსენებით...**

**მაშ, ასე...**

1968 წლის ზაფხულში, მოვამზადე და მაშინდელი ტელევიზიით ეთერში წავიდა ვეებერთელა, ორსაათიანი გადაცემა (კითხულობდა ცხონებული ომარ ტივაძე– სუპერ-დიქტორი), „მითები და სინამდვილე" („კენედების ოჯახი"), რომელსაც იმ დროისთვის არნახული გამოძახილი ჰქონდა.

ეს ის დროა, როცა, ქვეყანა ჩაკეტილია, საზღვარგარეთულ ტელეს კი არა, უცხოურ რადიოგადაცემებსაც ახშობენ, როცა რამდენიმე წლის წინათ, აშშ-ის პრეზიდენტად ახალგაზრდა ჯონ კენედია არჩეული, პოპულარული, ლამაზი ოჯახის პატრონი; მოკლე დროში ბევრი რამ მოასწრო... 1961 წელს. „კუბის კრიზისის" უსისხლოდ დამთავრებამ მისი რეიტინგი პიკზე აიყვანა. ჩვენ კი დუმილს ვამჯობინებთ მაშინ, როცა ყველას, მთელ მსოფლიოს, აინტერესებს ვინ არის იგი, საიდან მოვიდა, რას აპირებს, რატომ და რისთვის მოკლეს, როცა ვიდეო, მით უმეტეს ყოფითი, ჯერ არ არსებობს. დიდი ტელევიზიების პროდუქციაზე ხელი კი არ მიგვიწვდება. აქედან გამომდინარე, გამოსახულებების საშინელ დეფიციტს განვიცდით. ისღა დაგვრჩენია, ხედვით მასალად გამოვიყენოთ კინოქრონიკის მცირერიცხოვანი ნაწყვეტები, რაც 200-მდე ფოტოსთან ერთად, პარტიზანულად(!), მოსკოველი და უცხოელი მეგობრების წყალობით შევაკოწიწე კიდეც (მათგან ზოგიერთს აქვე გთავაზობთ)...

ერთი სიტყვით, გადაცემა დიდი კი გამოვიდა, მაგრამ აშკარად საინტერესო იყო. თანაც ჩვენი მასობრივი აუდიტორიისთვის ახალი, უცნობი დეტალებით სავსე. მთავარი ის არის, რომ „გავბედეთ" და გვერდი ავუარეთ იმ დროისთვის დამახასიათებელ „შაბლონს" – იდეოლოგიურ მტერს (თუმც, გაკვრით ესეც იყო – სავალდებულო მინიმუმი, შესაბამისად გაზავებული) და შევეცადეთ, გვეჩვენებინა, უწინარესად, ადამიანი, მისი წარმომავლობა, მრავალშვილიან ატმოსფეროში გაზრდილი, განათლებული, ნაომარი, გაბედული, სიმპათიური, პატარა შვილებთან ჯინსებში მოთამაშე მამა; თანაც, არა უდიდესი სახელმწიფოს – აშშ-ის პრეზიდენტი, არამედ იუმორით სავსე, ისეთი, პარიზის აეროპორტში ჟურნალისტებს საკუთარი თავი რომ წარუდგინა, როგორც... **„ულამაზესი ჟაკლინ კენედის მეუღლე"...**

შუაღამემდე გაგრძელდა ჩვენება. ტელეფონის ზარები არ წყდება. ჩვენი ახალგაზრდული გუნდი ბედნიერია.

დილის პროფესიულ თათბირზე სიამაყით შევაბიჯე. უმრავლესობას დადებითი განწყობა აქვს.

ერთი სიტყვით...

მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...(მერე რაც მოხდა, კურიოზია, დღემდე რომ მომყვება ღიმილიან მოგონებად.)

* * *

**...გადაცემის დღეს ტელერადიო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი კარლო გარდაფხაძე თბილისში არ იყო და „ეთერი", როგორც გამონაკლისი, მისი ნებართვის გარეშე შედგა.**

დილის თათბირზე კი ეს „რკინის კაცი" უკვე ადგილზეა, ჩვეული აღტყინებით ხელმძღვანელობს განხილვის, დაგეგმვისა და შეფასების პროცესს; ნამგზავრ და გვიანღამ ქალაქში დაბრუნებულ ბოსს მუდამ „ფხიზელმა კეთილმოსურნემ" უკვე აცნოგა „საშინელი დანაშაული": რომ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის გადაცემამ აშშ-ის მოკლული პრეზიდენტის „სახიფათო" თემაზე, „ეთერი" იხილა არა მარტო თავმჯდომარის დასტურის (რაც დადგენილი აუცილებელი პრაქტიკა გახლდათ), არამედ უფრო უარესი – მთავლიტის (ანუ, სახელმწიფო ცენზურის) ნებართვის(!) გარეშეც.

ეს გაუგონარი ფაქტი, პრაქტიკულად, დანაშაული იყო და მალე თათბირი ლამის „ხიროსიმის" მსგავს რისხვად გადაიქცა ჩემთვის და... კადრების უფროსს საჯაროდ, იქვე დაევალა საგანგებო ბრძანების მომზადება, რითაც „ახალგაზრდობის რედაქციის" ხელმძღვანელობიდან ჩემი – ორიოდე თვის წინ დანიშნული უფროსი რედაქტორის მოხსნა უნდა გაფორმებულიყო.


კარლო გარდაფხაძე

შეფს შეუვალობა ვერ შეაცვლევინა მისმა მოადგილემ, ტელევიზიის უშუალო კურატორმა აკაკი ძიძიგურმა და ვერც კოლექტივის და ტელეაუდიტორიის ზოგადმა დადებითმა შეფასებებმა.

„საჩვენებელ-სამაგალითო" თათბირი შუადღემდე კი გაიწელა, მაგრამ ფინალი წინ იყო... ბატონმა კარლომ კაბინეტში შემიყვანა და თათბირზე დაწყებული „დაბომბვა" გააგრძელა. რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს „სპექტაკლი" უფრო სხვისთვის იყო გაკვეთილი და ცოტა არ იყოს, თავის დაზღვევის ელფერი დაჰკრავდა.

მოულოდნელად ვითარება რადიკალურად შეიცვალა.

ბატონმა კარლომ უეცრად, სატელეფონო ზარით შეიტყო, რომ სრულიად შემთხვევით, ეს გადაცემა თურმე ნახეს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში შეკრებილმა ხელმძღვანელებმა. ეს კი გაიგო, მაგრამ ჩემმა შეფმა ჯერ არ იცის მათი რეაქცია როგორია. სრულიად ბუნებრივია, რომ ეჭვობს, ვაითუ უსაყვედურონ, რა დროს კენედი და მისდამი სიმპათიებია. მით უმეტეს, ამ რედაქციას ჰქონდა (ჩემამდე) პოლიტიკური ხასიათის ჩავარდნა, რის გამოც ტელერადიოს ხელმძღვანელს უსაყვედურეს, ხოლო რედაქციის ხელმძღვანელი ჩემი პერსონით ჩაანაცვლეს. და, ჰა, ბატონო, ისევ... მაგრამ ეს გაურკვევლობა მალე გაქარწყლდა.

სამთავრობო ტელეფონით მას „მორიგეობით" დაურეკეს ცეკას მდივნებმა – დევი სტურუამ და შოთა ჭანუყვაძემ და ორივემ, ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, საქმიან საუბარს ამ გადაცემის შესახებ თავიანთი პირადი მოწონებაც მოაყოლეს.

ბატონი კარლო ცოტა არ იყოს, დაიბნა. შეფასება კი აშკარად სასიამოვნოა, მაგრამ მაინდამაინც არ მოსწონს ამ ისტორიის იღბლიანი თვითმხილველი რომ სწორედ მე გავხდი. არადა, მეც ჯიუტად არ ვინძრევი ადგილიდან: ვიდრე არ მეტყვის, როგორ გავბედავ (არც მაწყობს) გასვლას!

ისევ ზარი... ამჯერად, სპეცსელექტორის ხმაა. ხაზზეა თავად... ვასილ მჟავანაძე, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პირველი პირი.

საუბარი საქმიანია, წინა დღეებში გარდაფხაძის მოსკოვური ვიზიტის შედეგებს შეეხება. მჟავანაძე აშკარად კმაყოფილი ჩანს და...

ღმერთო დიდებულო, რა მესმის: ვასილ პავლოვიჩსაც და მის ოჯახსაც უნახავს კენედიზე გადაცემა და ისე მოსწონებია, რომ გასჩენია სურვილი7 არა მარტო ეთქვა თბილი სიტყვები გარდაფხაძისთვის, არამედ სთხოვა კიდეც მისი სახელით ჩემთვის ქების სიტყვები გადმოეცა. ეს კი ნამეტანი გამოვიდა. თანაც, იმდენად იშვიათი შემთხვევა იყო, რომ

იმის წარმოდგენაც კი გაგიჭირდებათ, თუ რა დღეში ვარ, როგორ ვიკავებ თავს, რომ ისტერიკაში არ ჩავვარდე...

მაშინაც და ახლაც მგონია, რომ ბატონი კარლო გრძნობს ამ უხერხულობას. შევატყვე, რომ მასაც ეღიმება: საქმე იმაშია, რომ სულ რაღაც ერთი-ორი საათის წინ, დასასჯელად გამზადებული და პროფესიულ-თანამდებობრივად საჯაროდ, მაგრად გალახული ახალგაზრდა თანამშრომელი უნებლიეთ შევესწარი რა ამ უნიკალურ კურიოზულ ვითარებას, ვხედავ და ვგრძნობ, თუ რა დღეში ჩავარდა მმართველობით სისტემაში გამობრძმედილი, ეს უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკი, რა გამალებით ეძებს გამოსავალს ამ იდიოტური ვითარებიდან. თანაც, ვისი თანდასწრებით – „კარგად დაუთოვებული" ხელქვეითის!? და რა დროს და რა მომენტში – მჟავანაძის ზარის შემდეგ!?

და ეს ტიპი, ვის გამოც ეს სასაცილო (სატირალი რომ არ იყის) და კურიოზული ამბავი ხდება, ურცხვად(!) ვდგავარ, და იმას ვაკვირდები (ველოდები), თუ როგორ დააღწევს თავს ჩემი უფროსი ამ უხერხულობის პიკამდე მისულ ანეკდოტურ ვითარებას...

თავში მიტრიალებს ვარიანტები, რას მოიმოქმედებს, რა გზას აირჩევს ამ უხერხულობის განსამუხტავად სვანეთში დაბადებულ-გაზრდილი მშრომელი ბიჭი, ურთულესი ცხოვრების გზა რომ გაიარა, შექმნა საკუთარი თავი საშური ბიოგრაფიით, ნაომარი(!) კაცი–ოფიცერი; სინდისთან კომპრომისის მოძულე, იდეური, პარტიის პოლიტიკის ურყევი ამღიარებელი და გამტარებელი ჯარისკაცი; ტელევიზიის უნიკალური შენობის ამშენებელი, მოსკოვის და ლენინგრადის შემდეგ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებზე ადრე ფერადი ტელევიზიის განმახორციელებელი; დეპუტატი, მაგარი ხელმძღვანელი იმ 4 ათასიანი კოლექტივისა, რომლის ჟურნალისტების ნახევარს თავი გენიოსად მიაჩნია...

– კარგი, წადი მიხედე საქმესო, მითხრა ისეთი ტონით, რომ მივხვდი: იპოვა გამოსავალი!

...ერთი სიტყვით, პირველი მადლობა და პრემია(!) სწორედ ამ ვითარებაში და იმ წუთებში დავიმსახურე, როცა ვფიქრობდი, რომელ ვარიანტს ამჯობინებდა ბატონი კარლო (სხვათაშორის, პრემია ნამეტნავად დროული და საკმაოდ უხვი – საპარადო სამოსის შესაძენად საკმარისი აღმოჩნდა).

მალე ამას მოჰყვა მეორე გადაცემა (ისიც პრემირებული, რეზო დვალიშვილთან ერთად), ცხელ გულზე მომზადებული და დაკავშირებული პრეზიდენტობის კანდიდატის, ჯონ კენედის ძმის (10 შვილის მამის) და მისი მთავრობის იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის მკვლელობასთან;

(სხვათაშორის, სწორედ მისი შვილი – რობერტ კენედი-უმცროსი დანიშნა პრეზიდენტმა ტრამპმა თავის მთავრობაში ჯანმრთელობის მინისტრად! ასე რომ კენედების ტრაგიკული კლანის თემა კვლავ აქტუალურია!)

შემდგომ – „ვიეტნამის ომი"... „ნეოფაშიზმის აღზევება გერმანიაში"... „1968 წელი: პარიზი, სტუდენთა ამბოხი დევიზით: მოითხოვე შეუძლებელი!"

ასე აიდგა ფეხი ქართულმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ტელეპუბლიცისტიკამ. მანამდე ამ „თემებს" და „ჟანრს" საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში" ჩინებულად იყენებდნენ პირველი თაობის კომენტატორები, რომელთაგანაც გამოვარჩევდი ცხონებულებს – თბილად მოსაგონარ ინტელიგენტ ამირან ავალიანსა და ლეგენდარულ იდეოლოგიურ „ტერორისტს" აზონ ციციაშვილს, რომელმაც ერთხელ რიხიანად გამოხატა საყვედური აშშ-ის იმპერიალისტი პრეზიდენტისადმი: ეტყობა, რეიგანს დაავიწყდა გენიალური ქართული ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!"

**ძნელი, მაგრამ პროფესიულად მაინც საინტერესო დრო იყო. იძულებული იყავი, გეძებნა და გეპოვა ახალი ფორმა, მასალა, ზოგი რამ გაგებედა, წასულიყავი რისკზე, გაგეპარებინა კიდეც...**

**ეჰ, მაშინ რომ ახლანდელი ტექნოლოგიები, პროფესიული თავისუფლება და შესაძლებლობები გვქონოდა...**

**P.S.**

**გავა ამ მოვლენიდან ოცი წელი და როცა 70-ს გადაცილებულ კარლო გარდაფხაძეს, კომპარტიის ცეკას მდივნის კაბინეტში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალებითა და სახელით, უღრმესი პატივისცემით და მადლიერებით ვისტუმრებდით პენსიაზე, სიყვარულით და ღიმილით გავახსენე ეს ისტორია.**

**და არა მარტო ეს.**

**90-ს კარგად გვარიანად გადაცილებულს ხშირად ვნახულობდი, ყველა მისი ლხინის თუ ჭირის სუფრას ვთამადობდი და ვჭირუსუფლობდი. შესანიშნავი ოჯახი და ხსოვნა დატოვა. ასეთ რწმენიან და საქვეყნო საქმეზე თავდადებულ, ღირსებით სავსე ადამიანებზე იდგა და იდგება ყოველთვის საქართველო. მაშინაც კი, როცა რეიგანის მსგავსად ვიღაც მაკრონებს, შოლცებს, კუბილიუსებს და სხვა მოკრეტინ-მოჩარკვიანო ჯამაათს (შინ თუ გარეთ) დაავიწყდება უძველესი და ბრძნული ქართული ანდაზა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!..**

**ნუგზარ ფოფხაძე**

# ტრადიციული ოქრო-ვერცხლი



**იტალიის ქალაქ პიზაში გამართულ ეტლით მოფარიკავეთა 2025 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე, B კატეგორიაში, ირმა ხეცურიანმა ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა პარასპორტსმენმა უმაღლესი სინჯის მედალი ხმლით ფარიკაობაში დაიმსახურა.**

ირმამ ნახევარფინალურ შეხვედრაში პოლონელი სტრავინსკა ანგარიშით 15:7 დაამარცხა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი მასპინძელ ანდრეა მოგოსს 15:9 სძლია.

ამავე ტურნირზე ბრინჯაოს მედალი A კატეგორიაში დაისაკუთრა კიდევ ერთმა ქართველმა **ნინა თიბილაშვილმა.** მან ნახევარფინალი უკრაინელ ნატალია მორკვიჩთან 11:15 დათმო.

# ღირსეულთა ექვსეული




**ბერძნულ-რომაულ** ჭიდაობაში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ალბანეთში **ანრი ხოზრევანიძემ** ოქროს მედალი მოიპოვა. 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველმა ფალავანმა ფინალში ნეიტრალური ათლეტის სტატუსით მოასპარეზე ჰლებ მაკარანკა დაამარცხა.

ახალგაზრდა სპორტსმენმა ფინალამდე იტალიელი და პოლონელი მეტოქეები დაჯაბნა, ნახევარფინალში კი თურქ მოწინააღმდეგეს აჯობა.

გუნდური ჩათვლის გამარჯვებულ საქართველოს ანგარიშზე ამ ტურნირზე 6 მედალია. დიმიტრი ხაჩიძემ (60 კგ) ოქროს მედალი დაიმსახურა, ვერცხლის მედალი კობა ქარუმიძემ (55 კგ), ბრინჯაოს მედლები კი რომეო ბერიძემ (63 კგ) ლუკა გაბისონიამ (97კგ) და საბა ჭილაშვილმა (130 კგ) მოიპოვეს.

# 12 ქულა და გაძევება




**იტალიის სერია A-ს 22-ე ტურში თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონია“ სტუმრად „ნაპოლისთან“ დაძაბულ ბრძოლაში 88:93 დამარცხდა.**

შენგელიამ 22 წუთში 12 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. ქართველმა კალათბურთელმა 9-დან 3 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. თორნიკემ მეოთხე პერიოდში მეტოქესთან იჩხუბა და არასპორტული საქციელისთვის გააძევეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე „ნაპოლის“ წევრი, საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ჯეიკობ პულენი იყო, რომელიც 25 ქულით და 7 პასით გამოირჩა. „ვირტუსი“ 16 მოგებით და 6 წაგებით მეორე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 22 მარტს სტუმრად „ტრიესტესთან“ გამართავს.

# გაზაფხულის საკადრისი



**3X3 საკალათბურთო სეზონი გრძელდება და ვერის ბაღში მორიგი ტურნირი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ სეზონის გახსნითი ტურნირი 7 მარტს ჩატარდა, რომელიც 3X3SPRING2025-ის სერიების ფარგლებში შედიოდა. ამჯერად მორიგი ტურნირი გაიმართა, რომელშიც ასაკობრივი ცენზი 18+ იყო.**

ტურნირში სტანდარტულად 12 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 4 ჯგუფში განაწილდნენ. ერთი წრის შემდეგ თითოეული ჯგუფის გამარჯვებული ნახევარფინალში გავიდა: სტუ-მ გუნდ “21”-ს 17:1 სძლია, ხოლო TB-მ ძალიან დაძაბულ ბრძოლაში Bakery 21:18 დაამარცხა.

ფინალური მატჩი კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა. სტუ-ს და TB-ს დაპირისპირებაში ძირითად 10 წუთში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. თამაში ოვერტაიმში გადავიდა და საბოლოოდ გამარჯვება TB-ს დარჩა – 20:18.

ფინალისტები კალათბურთის ფედერაციის 3X3 კალათბურთის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ბიბა ბურბენიძემ** დააჯილდოვა. გამარჯვებულებს 4600-ლარიანი საპრიზო ფონდიდან 900-იანი ვაუჩერი ერგოთ, ხოლო დამარცხებულებს 700-იანი. 3X3SPRING2025-ის ეგიდით მარტში კიდევ ორი ტურნირი ჩატარდება.

# პოზიცია არ შეუცვლია

**გოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით, UFC-ი ორი დიდი ბრძოლის ერთ ქარდზე ჩატარებაზე აქტიურად მუშაობს. საუბარია ისლამ მახაჩევი VS ილია თოფურიასა და დუ პლესი VS ხამზატ ჩიმაევის. როგორც ცნობილი ხდება დანა უაითს ამ ბრძოლების ჩატარება 28 ივნისს სურს.**

ამ ყველაფერთან დაკავშირებით საინტერესო განცხადებას აქვეყნებს ისლამ მახაჩევის ერთ-ერთი მენეჯერი, მისი თქმით ისლამს პოზიცია არ შეუცვლია და თვლის, რომ ილია თოფურიამ საჩემპიონო ორთაბრძოლა უნდა დაიმსახუროს. ჯერჯერობით უცნობია მიმართა თუ არა UFC-იმ ოფიციალურად ისლამს ილიასთან ბრძოლაზე.




შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ ქვემსუბუქი წონის ქამარი ტავისი სურვილით დათმო და ზედა წონაში გადაინაცვლა. მან ბოლოს 2024 წლის 26 ოქტომბერს მაქს ჰოლოვეის წინააღმდეგ იბრძოლა, სადაც მეტოქე მესამე რაუნდში გათიშა და საჩემპიონო ქამარი დაიცვა.

# ორიოდე სიტყვით

## ხელბურთი.

**ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფური ტურნირი. ბოსნია-საქართველო 20:22, ისლანდია-საბერძნეთი 33:21. სატურნირო ცხრილი 4 ტურის შემდეგ:** ისლანდია-8, საქართველო-4, ბოსნია, საბერძნეთი-2-2 ქულა. 8 მაისს ითამაშებენ: საქართველო-საბერძნეთი, ისლანდია-ბოსნია. შეგახსენებთ, რომ ფინალურ რაუნდში პირველ-მეორე ადგილოსნები, აგრეთვე 4 საუკეთესო მესამე ადგილოსანი იასპარეზებს.



## ჩოგბურთი

**შარმ ელ შეიხი( ეგვიპტე).** ვაჟთა 15-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. **2 მთავარი პრიზი** – საბა ფურცელაძე (ერთეულებსა და წყვილებში).

**უნგრეთი.** ქალთა საერთაშორისო ტურნირი. **მთავარი პრიზი** – ეკატერინე გორგოძე (წყვილებში).

## ფეხბურთი

**ერთა ლიგის ხვალინდელი პლეი-ოფის წინ შესანიშნავი განწყობა შეიქმნეს ქართველმა ლეგიონერებმა, რომლებმაც, მორიგი გატანილი გურთებითა და საგოლე გადაცემებით გაგვახარეს.** ესენი არიან გიორგი მიქაუტაძე, ზურიკო დავითაშვილი, ბუდუ ზივზივაძე, ჯვაროსანთა ახალი კაპიტანი ოთარ კიტეიშვილი, გიორგი კვერნაძე და სხვები.

შეგახსენებთ, რომ სომხეთთან ჩვენი ეროვნული ნაკრების პირველი მატჩი ერევანში 21 საათზე დაიწყება.

## არჩევნები



**ბეისბოლისა** და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ვახტანგ ნორაკიძე** გახდა, ვიცე-პრეზიდენტები-ყოფილი თავკაცი გოგა დათუნაშვილი, სოფიო ხიდაშელი და გოგა დათაშვილი, ხოლო გენერალური მდივანი-რევაზ შავლაძე. დამტკიცდა აგრეთვე 11-წევრიანი გამგეობის ახალი შემადგენლობა 4-წლიანი ვადით.

## რაგბი

**20-წლამდელთა მუნდიალის წილისყრა** (იტალიის ქალაქები კალვიზანო, როვიგო, ვერონა, ვიადანა. 29 ივნისი-19 ივლისი). **„ბ“ ჯგუფი.** ახალი ზელანდია, ირლანდია, საქართველო, იტალია. სულ ამ ფორუმზე 12 გუნდი ითამაშებს.

## ძიუდო

**ევროპის თასის გათამაშების მორიგი ტურნირი. ბრინჯაო**-დავით გოდერძიშვილის (73)კგ). სულ ტატამზე 6 ჯვაროსანი გამოვიდა.

## ფორმულა 1

**ახალი სეზონის პირველი ეტაპი-ავსტრალიის გრან-პრი.**

**საპრიზო სამეული.** ლანდო ნორისი (მაკლარენი, დიდი ბრიტანეთი)-25 ქულა. მაქს ფერსტაფენი (რედ ბული, ნიდერლანდები)-18 ქულა. ჯორჯ რასელი (მერსედესი, დიდი ბრიტანეთი)-15 ქულა. **კონსტრუქტორთა თასი-**მაკლარენი და მერსედესი-27-27, რედ ბული-18 ქულა.



**საქართველოს პროკურატურის განცხადება**




# ნანუკას ფონდი და სხვა ფარული „სიროცხვილები“ დაყადაღებულია

**საქართველოს პროკურატურა რამდენიმე ფონდის საბანკო ანგარიშებისა და მათზე არსებული თანხის დაყადაღებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2025 წლის 17 მარტს საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში განახორციელა – ა(ა)იპ „ნანუკას ფონდი“-ს , ა(ა)იპ „ფროსფერითი“-ს, ა(ა)იპ „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“-ს, ა(ა)იპ „სირცხვილია“ და ა(ა)იპ „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“-ს საბანკო ანგარიშების და მათზე არსებული ფულადი სახსრების დაყადაღება.

**„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება საზოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საზოტაჟის მცდელობის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით, 19, 318-ე მუხლის მეორე ნაწილით, 319-ე და 3211 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტის წინ და ქვეყნის მასშტაბით, სხვა და სხვა ლოკაციებზე, მიმდინარე საპროტესტო აქციები, ე.წ. „მარშები“ და სხვა ღონისძიებების ნაწილმა, დროის მოკლე პერიოდში მიიღო ძალადობრივი ხასიათი და გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს. აღნიშნული გამოიხატა პარლამენტის შენობის და სხვა კერძო საკუთრების დაზიანებაში, ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში საგნებისა თუ ნივთიერებების გამოყენებაში, პოლიციის თანამშრომლების თავდასხმასა და ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევაში და სხვა არამშვიდობიან ქმედებებში.**

**ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივი ჯგუფების მხრიდან ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღად სხვადასხვა საგნების გამოყენება, როგორიც იყო პიროტექნიკური საშუალებებით სპეციალურად დამზადებული მოწყობილობები, ადვილად აალებადი და ცეცხლგამჩენი ნივთიერებები. არაერთგზის დაფიქსირდა ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილების“ გამოყენება პოლიციის თანამშრომელთა წინააღმდეგ. გამოძიებით ასევე დგინდება, რომ ძალადობრივი ჯგუფები სისტემატურად მარაგდებოდნენ ე.წ. რესპირატორებით, „სპეციალურ აირწინაღებით“, ჩაფხუტებით და სხვა საშუალებებით, რათა სპეციალური საპოლიციო ღონისძიებებისას სამართალდამცავებზე ძალადობრივი შეტევა ყოფილიყო ეფექტური. ხსენებული ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაზიანდა 55 ფიზიკური პირი, რომელთაგან უმრავლესობა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები არიან. ამასთან, ცეცხლის გაჩენის გზით დაზიანდა ადმინისტრაციული შენობები და მწყობრიდან გამოვიდა სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები.**

**ზემოხსენებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების პარალელურად, საჯარო სივრცეებში გავრცელდა ინფორმაციები, რომლის თანახმადაც ცალკეული ფიზიკური და იურიდიული პირები მობილიზებას უკეთებდნენ ფინანსებს, რომელთა დიდი ნაწილი ხმარდებოდა უკანონო ქმედებებში მონაწილე პირთა საჭიროებებს. აღნიშნულის გამო, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში განხორციელდა იმ იურიდიული და ფიზიკური პირების საბანკო ტრანზაქციების დეტალური შესწავლა, რომელთა მიმართაც არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ახორციელებდნენ სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო და ცალკეულ შემთხვევებში, დანაშაულებრივი ქმედებების მატერიალურ მხარდაჭერას.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზებისთვის ხშირ შემთხვევაში ფინანსური სახსრების შეგროვება და მიწოდება ხორციელდება ე.წ. „ფონდების“ მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ორგანიზაციები პირდაპირ წარმართავენ თანხებს უკანონო ღონისძიებების დასაფინანსებლად, მოუწოდებენ საზოგადოებას დაუმორჩილებლობისკენ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ.**

**კონკრეტული ფონდების ორგანიზაციული და ფინანსური საქმიანობა, მიმართულია სამართალდამრღვევი პირების და მათი ოჯახის წევრებისთვის მატერიალური დახმარების უზრუნველსაყოფად. ხდება სამართალდამრღვევი პირების სასარგებლოდ ჯარიმების გადახდა და სხვა სახის პირადი თუ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა. გამოძიებით დგინდება, რომ სამართალდამრღვევი პირების მატერიალურ მხარდაჭერას ახდენენ შემდეგი ფონდები, – ა(ა)იპ „ნანუკას ფონდი“; ა(ა)იპ „ფროსფერითი“; ა(ა)იპ „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“; ა(ა)იპ „სირცხვილია“; ა(ა)იპ „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“; აღსანიშნავია, რომ მითითებული იურიდიული პირების საბანკო ანგარიშები, რომელთა გამოყენებითაც ფინანსდება კანონსაწინააღმდეგო აქტივობები, გახსნილია ბოლო პერიოდში და 2024 წლის დეკემბრიდან დღემდე, დახარჯული აქვთ 2.000.000 ლარზე მეტი. მნიშვნელოვანია, რომ დასახელებული ე.წ. „ფონდები“, მიღებული ფინანსური რესურსების ძირითად ნაწილს წარმართავდნენ კანონსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირების წახალისებისთვის, ისევე როგორც ამ დანაშაულების ჩასადენად საჭირო ინვენტარის და საშუალებების შეძენისთვის, კერძოდ მითითებული „ფონდებიდან“ ხდებოდა თანხების მიღება/გაცემა, მათ შორის ტრანზაქციის დროს პირდაპირ მითითებული შემდეგი დანიშნულებით: „აქციის საჭირო აღჭურვილობისთვის“, „რაც საჭიროა ბრძოლისთვის“, „აქციებისთვის ინვენტარის შეძენა“, „პიროტექნიკის შესაძენად“, „აირწინაღის შეძენა წინახაზის ბავშვებისთვის“ და სხვა. როგორც გამოძიებით დგინდება, დიდი ოდენობით თანხები დანიშნულებით: „წინახაზის ბავშვებისთვის აირწინაღების შეძენა“, განკუთვნილი იყო იმ ძალადობრივი ჯგუფების დაფინანსებისთვის, რომლებიც სამართალდამცავებზე თავდასხმისას ე.წ. „წინა ხაზზე“ იმყოფებოდნენ და ახორციელებენ ძალადობრივ ქმედებებს, რის შედეგადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები მიიღო ათეულობით სამართალდამცავმა, ისევე როგორც აქციის მონაწილემ.**

**იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ე.წ. „ფონდები“, შეგროვებული ფინანსების ძირითად ნაწილს ახმარენ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და მასში მონაწილეობის ფაქტზე ბრალდებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ფინანსურ უზრუნველყოფას და ამით გარდა ძალადობრივი ქმედების დაფინანსებისა ქმნიან მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით უკანონო ქმედებებში პირთა ჩართვის წამახალისებელ საფუძვლებს, საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2025 წლის 17 მარტს საქართველოში არსებულ ყველა საბანკო დაწესებულებაში განახორციელა – ა(ა)იპ „ნანუკას ფონდი“-ს , ა(ა)იპ „ფროსფერითი“-ს, ა(ა)იპ „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“-ს, ა(ა)იპ „სირცხვილია“ და ა(ა)იპ „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“-ს საბანკო ანგარიშების და მათზე არსებული ფულადი სახსრების დაყადაღება.**

**საქმეზე გრძელდება გამოძიება, რომლის მიმდინარეობის შესახებ საზოგადოებას პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას“,** – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

## ევროკავშირი უკრაინას 3.5 მილიარდამდე ევროს გადაუხდის!

**ევროკავშირის საბჭომ კიევისთვის Ukraine Facility-ის პროგრამის ფარგლებში გრანტებისა და სესხების მესამე ტრანშის გადაცემა დაამტკიცა.**

როგორც ევროკავშირის პრესრელიზშია ნათქვამი, უკრაინა მალე დაახლოებით 3.5 მილიარდ ევროს მიიღებს.

ევროკავშირის საბჭო განმარტავს, რომ Ukraine Facility-ის მთავარი მიზანია უკრაინის მაკროფინანსური სტაბილურობისა და აღდგენის, რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერა.

დღეს საბჭომ დაასკვნა, რომ უკრაინამ მესამე ტრანშის მისაღებად დააკმაყოფილა ყველა აუცილებელი პირობა, რომელიც გათვალისწინებულია უკრაინის გეგმაში. მესამე ტრანშის გათვალისწინებით, ბოლო ერთ წელში აღნიშნული ფონდიდან გამოყოფილი დახმარების საერთო რაოდენობა 20 მილიარდ ევროს მიაღწევს.

## უნგრეთის მმართველი პარტია ლგბტ პრაიდის აკრძალვას აპირებს!

**უნგრეთის მმართველმა პარტიამ „ფიდესმა“ პარლამენტში ლგბტ მარშის აკრძალვის შესახებ კანონპროექტი შეიტანა. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**

კანონპროექტის თანახმად, პირები, რომლებიც მარშს მოაწყობენ, დაჯარიმდებიან. როგორც ინიციატივაშია აღნიშნული, ლგბტ მარშების აკრძალვის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ პრაიდი ცუდად მოქმედებს ბავშვებზე.

**„წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შედის კანონში, რომელიც არეგულირებს შეკრების უფლებას და კრძალავს ისეთი შეკრების ჩატარებას, რომელიც არღვევს ბავშვთა დაცვის შესახებ კანონში არსებულ აკრძალვას“,** – წერია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

კანონპროექტი, აგრეთვე უფლებას აძლევს პოლიციას გამოიყენოს სახის ამომცნობი კამერები, რათა მარშში მონაწილეების იდენტიფიცირება მოახდინოს.

## ალექსანდრ ვუჩიჩი: ქვეყანაში „მაიდნის ასლი“ არ შედგება



**სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდარ ვუჩიჩმა განაცხადა, რომ სერბეთში „მაიდნის ასლი“ არ შედგება. ვუჩიჩმა ყურადღება გაამახვილა მის წინააღმდეგ პროტესტის ორგანიზატორების მიერ გავრცელებულ ტყუილზე.**

მან განაცხადა, რომ 15 მარტის პროტესტის დროს „მათ ყველა თავიანთი მედიასაშუალებით გადასცეს, რომ ინტერნეტი დაიხურებოდა, რომ სოციალური ქსელები არ იარსებებდა, რადგან დიქტატორები ასე იქცევიან“.

**„მაშინ მათ მოიგონეს ამბავი ხმოვანი ქვემეხის შესახებ, მათ იპოვეს ეს ხმოვანი ქვემეხი და აჩვენეს იგი. თუმცა, ეს არ არის ხმოვანი ქვემეხი, არამედ დრონის საწინააღმდეგო საშუალებაა. სერბეთის არმიაში არ არის ხმოვანი ქვემეხი“,** – აღნიშნა სერბეთის პრეზიდენტმა.

# ტელეკომპანია «იმედი» 22 წლისაა



## როგორ დაგვაკლდა ბადრის ღიმილი...

გავარდა მეხი,
როგორც ყოველთვის
მოულოდნელად,
მოწმენდილ ცაზე!
ახდა დუშმანის ავი სიზმარი,
ქვეყნისთვის მეოხ
პატრიოტ კაცზე.
„გულმა უმტყუნა“ —
დაგვიდეს დასკვნა,
ანგლო საქსებმა,
უგულოებმა!
ორი დღით ადრე
მათივე ბეჭდით
დასკვნა ჩათვალეს
ყალბად „მოგვებმა“!
ვაჟკაცი, ქველი,
სიკეთის მქნელი,
მომავლის მეკვლე,
ქვეყნის იმედი,
თქვენ გაიმეტეთ,
მან კი სამშობლოს
იმედად უძღვნა
ნაღდი „იმედი“!..
...ნურც გაიფიქრებთ
შეგრჩეთ ღალატი,
ქვეყნის და კაცის!
ნუ გაქვთ იმედი!
დაგესიზმრებათ
ყორღანაშვილი
და საღღაც კლდიდან
გადაფრინდებით!..

ლადო ჭანტურიძე

**საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გერმანიაში, ბერლინში, სამოგზაურო მედია კონფერენციაში International Media Marketplace მიიღო მონაწილეობა.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მედია კონფერენციაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გავლენიანი მედიასაშუალებების: BBC Travel-ის, National Geographic Germany-ის, Spiegel-ის, Travel+Leisure Germany-ის, The Voyager-ის, TRVL Counter-ის ჟურნალისტებს, ასევე ინფლუენსერებსა და ბლოგერებს საქართველოს ტურისტული პროდუქტები, კურორტები, სათავგადასავლო ტურისტული მიმართულებები გააცნეს.



# საერთაშორისო მედია საქართველოს ტურისტულ პოტენციალს გაეცნო

IMM Germany Berlin-ის კონფერენციის ფარგლებში , პრეზენტაციები გაიმართა საქართველოს ცნობადობის გაზრდისა და ტურისტული ნაკადების მოზიდვის მიზნით.

კონფერენციის შემდეგ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საერთაშორისო ჟურნალისტებისთვის, ინფლუენსერებისა და ბლოგერებისთვის გაცნობითი ტურების გამართვას გეგმავს. International Media Marketplace-ზე 190 მედიასაშუალება და 125 გლობალური ბრენდი იყო წარმოდგენილი.

# რკინის გულით 40 წლის კაცს სიცოცხლე 100 დღის მანძილზე შეუნარჩუნეს

**თებერვლის დასაწყისში 40 წლის ავსტრალიელი კაცი პირველი ადამიანი გახდა მსოფლიოში, რომელმაც კლინიკა მას შემდეგ დატოვა, რაც ლითონისგან დამზადებული გული მის სხეულში 100 დღის მანძილზე სცემდა.**

რკინის ორგანო სისხლს პაციენტის ფილტვებს აწვდიდა და სიცოცხლეს უნარჩუნებდა. 6 მარტს კი დონორი გამოჩნდა და რკინის გული ნამდვილით შეიცვალა. მეცნიერების თქმით, რომ არა რკინის გული, პაციენტი დონორის გამოჩენამდე გარდაიცვლებოდა.

თავისივე ნამდვილი გულით ავსტრიელ კაცს 10-15 მეტრის გავლა თუ შეეძლო ისე, რომ სუნთქვა არ გასძნელებოდა. ახლა კი ჩვეულ ცხოვრებას აგრძელებს. მთავარი ქირურგი პოლ ჟანის თქმით, ეს აღმოჩენა სრულად შეცვლის თამაშის წესებს.

თუმცა, სანამ აქამდე მივიდოდნენ, 25 წელი გაატარეს რკინის გულზე მუშაობაში. გასულ წელს, პირველი ტრანსპლანტაციაც შეასრულეს და 58 წლის კაცი 8 დღე აცოცხლეს დონორის გამოჩენამდე, ხოლო ამბავი, რომელზეც ზემოთ მოგიყევით, პირველ იმპლანტაციას აღნიშნავს ამერიკის გარეთ და მთლიანობაში მეექვსე ცდაა, რომელიც ახალი გამოგონების ნამდვილ, გრძელვადიან პოტენციალს გვაჩვენებს.

**„შემდგომ ათწლეულში დავინახავთ, თუ როგორ იქცევა ხელოვნური გული პაციენტების ალტერნატივად, რომლებსაც არ აქვთ დრო, დაელოდონ დონორის გამოჩენას ან რომელთათვისაც დონორი არ არის ხელმისაწვდომი“,** – აცხადებენ მეცნიერები.



# ავსტრალიაში, სკოლაში, დინოზავრის 200 მილიონი წლის წინანდელი ნაკვალევი იპოვეს



**მეცნიერებმა ავსტრალიის ერთ-ერთი სკოლის შენობაში მტვრით დაფარული ქვის ფილა ნახეს, რომელზეც დინოზავრის ნაკვალევი აღმოჩნდა.**

ქვა 20 წლის განმავლობაში ყურადღების მიღმა რჩებოდა, სანამ კვინსლენდში ბანანას საგრაფოს სკოლა პალეონტოლოგ ენტონი რომილიოს არ დაუკავშირდა. მათ ფილაზე არსებული სამთითა ნაკვალევების შესწავლა მოითხოვეს. რომილიოს თქმით, ნიმუშზე აღბეჭდილი ათეულობით ნაკვალევი ნახა, რომლებიც 200 მილიონი წლის წინანდელ იურულ პერიოდს მიეკუთვნება.

**„ავსტრალიაში აქამდე აღმოჩენილ ნამარხებს შორის ეს ქვა ნაკვალევების სიუხვით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია”,** – ამბობს რომილიო.

**„ის დინოზავრების სიმრავლის, გადაადგილებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის უპრეცედენტო წყაროა, თანაც იმ პერიოდისაა, საიდანაც ავსტრალიაში მათი ნამარხები დღემდე მოღწეული არაა”.**

**„შესაძლოა, მსგავსი მნიშვნელოვანი ნამარხები წლების განმავლობაში ყველასთვის ხილულ ადგილასაც კი შეუმჩნეველი დარჩეს. წარმოუდგენელია, რომ ასეთი მდიდარი ისტორიული მასალა მთელი ეს დრო სკოლაში იყო”,** – დასძინა მეცნიერმა.

ფილა ნახშირის მომპოვებლებმა 2002 წელს ამოთხარეს. როცა მასზე უჩვეულო ნაკვალევი შენიშნეს, ქალაქ ბილოილას სკოლას აჩუქეს, სადაც ის ფოიეში განათავსეს.

**„ზოგიერთმა მასწავლებელმა იფიქრა, რომ ეს ქვა არა ნამდვილი ნამარხი, არამედ მხოლოდ ასლი იყო. მათ ბოლომდე არ ესმოდათ, რამდენად უნიკალური რამ ჰქონდათ. ისინი სიღრმისეულ დეტალებს ისე ვერ აღიქვამდნენ, როგორც მე, მეცნიერი”,** – ამბობს რომილიო.



ფილის ფართობი ერთ კვადრატულ მეტრსაც არ აღემატება, თუმცა მასზე დინოზავრის ფეხის 66 ანაბეჭდია. როგორც აღმოჩნდა, ისინი Anomoepus scambus-ის სახეობას ეკუთვნის – ბალახისმჭამელ პატარა ცხოველს, რომელიც ორ ფეხზე დადიოდა.

**„მართალია, ასეთი განამარხებული ნაკვალევი დინოზავრთა ნამარხებს შორის ყველაზე გავრცელებულია, თუმცა ბევრ მკვლევარს მაინც უყურადღებოდ რჩება. ყველაზე ხშირად აღმომჩენები ჩვეულებრივი ადამიანები არიან”,** – აცხადებს მეცნიერი.

**რომილიოს მიერ ნამარხების ძებნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის საფუძველი გახდა. „ქვანახშირის მაღაროს ავტოსადგომზე შესვლისას ორტონიანი ლოდი დავინახე, რომელიც გაზონს მანქანებისგან იცავდა. მასზე დინოზავრის ნამარხი მკაფიოდ ჩანდა. ამის დანახვისას თვალებს არ დავუჯერე”,** – აღნიშნავს ის.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 21 მარტს**